


ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი

ქართული წიგნის ბაზრის კვლევა

2013 – 2015



ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი

ქართული წიგნის ბაზრის კვლევა

2013 – 2015

ქართული
წიგნის
ეროვნული
ცენტრი



act

მომზადებულია „ეისითის“ მიერ
სსიპ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრისთვის

მარტი, 2016
თბილისი, საქართველო

1	შესავალი	4
2	კვლევის დიზაინი	4
2.1	კვლევის მიზნები	4
2.2	კვლევის მეთოდოლოგია	5
3	კვლევის შედეგები	6
3.1	საგამომცემლო ბაზრის აღწერა	6
	გამომცემლობების მარკეტინგული აქტივობები	17
	წიგნის ბაზრობებში მონაწილეობა	19
	დისტრიბუტორებთან ურთიერთობა	19
3.2	კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცემები	20
3.3	წიგნების გამოცემა 2013-2015	21
	წიგნის საშუალო ფასი	22
3.4	დისტრიბუცია / სადისტრიბუციო არხები	23
	დისტრიბუტორები	23
	სადისტრიბუციო საქმიანობა	24
	გამომცემლობებთან ურთიერთობა	25
3.5	წიგნის მაღაზიები	25
	2015 წლის ყველაზე გაყიდვადი წიგნები	26
3.6	ელექტრონული წიგნის მაღაზიები	29
3.7	ლიტერატურული კონკურსები 2013-2015 წელი	31
3.8	მკითხველი	35
	წიგნის მკითხველთა წილი	35
	წიგნის შეძენა	36
	კითხვითი ჩვევები	40
	წიგნის ჟანრისა და კატეგორიის უპირატესობები	43
	წიგნების კითხვა ჟანრისა და კატეგორიის მიხედვით	45
	წიგნის წყარო	47
3.9	ბიბლიოთეკები	49
3.10	ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი	51
	ქართული ლიტერატურა თარგმანებში	51
	თარგმანების სტატისტიკა	51
4	რეკომენდაციები	53



1. შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ქართული წიგნის ბაზრის კვლევის ანალიტიკურ ანგარიშს. აღნიშნული ანგარიში მომზადებულია „ეისითის“ მიერ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრისთვის.

კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება წიგნის ბაზრის ზოგადი შეფასებისა და არსებული პრობლემების დადგენის, წიგნის ბაზრის შემდგომი განვითარებისა და მკითხველის ბაზის გაფართოების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისათვის.

2. კვლევის დიზაინი

2.1 კვლევის მიზნები

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა 2013-2015 წლის სრული სტატისტიკური ინფორმაციის მიღება წიგნის სეგმენტის ყველა კომპონენტის შესახებ წიგნის ბაზრის ზოგადი შეფასებისა და არსებული პრობლემების დადგენის, წიგნის ბაზრის შემდგომი განვითარებისა და მკითხველთა ბაზის გაფართოების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისათვის.

გარდა ამისა, კვლევა მიზნად ისახავდა წიგნის ბაზრის სუსტი მხარეების გამოვლენას, რაც შესაძლებელს გახდის მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე აღნიშნული სუსტი მხარეების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი მიმართულებები / ამოცანები:

- ▶ საგამომცემლო ბაზრის აღწერა (2013-2015 წელი)
 - საქართველოში მოქმედი გამომცემლობები, მათი განაწილება სანარმოს ზომის მიხედვით
 - გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნები, შემოსავალი გაყიდული წიგნებიდან, ჯამური და საშუალო ტირაჟი, ჟანრი, კატეგორიები.
 - გამომცემლობების მარკეტინგული საქმიანობა
 - გამომცემლობების ურთიერთობის სპეციფიკა დისტრიბუტორებთან
 - სადისტრიბუციო არხების განაწილება
 - კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საგამომცემლო საქმიანობა
 - გამომცემლობების მონაწილეობა წიგნის ბაზრობებში, ლიტერატურულ პრემიებსა და კონკურსებში
- ▶ წიგნის გამოცემა 2013-2015 წლებში
 - საქართველოში გამოცემული წიგნების ჯამური მაჩვენებელი 2013-2015 წლებში
 - გამოცემული დასახელებების განაწილება მხატვრული / არამხატვრული, ქართული / თარგმნილი ლიტერატურის მიხედვით
 - წიგნების საშუალო გასაყიდი ფასი 2013-2015 წლებში
- ▶ სადისტრიბუციო ბაზრის დახასიათება
 - წიგნების დისტრიბუცია 2013-2015 წლებში
 - წიგნის გამავრცელებელი კომპანიები, მათი განაწილება კომპანიის ზომის მიხედვით
 - დისტრიბუტორების გამომცემლობებთან და მაღაზიებთან ურთიერთობის სპეციფიკა
- ▶ საავტორო ობიექტების კვლევა
- ▶ 2015 წლის ბესტსელერები
 - მხატვრული / არამხატვრული ლიტერატურის კატეგორიებში
 - ქართული / თარგმნილი ლიტერატურის კატეგორიებში



- ▶ ლიტერატურული პრემიები 2013-2015 წლები
- ▶ ელექტრონული წიგნის ბაზარი 2013-2015 წლები
 - ელექტრონული წიგნის მაღაზიები
 - ელექტრონული წიგნის ბაზრის მოცულობა
 - ელექტრონული წიგნის საშუალო გასაყიდი ფასი
 - ბესტსელერები ელექტრონულ წიგნებს შორის
- ▶ წიგნიერების დონე 2015 წელი
 - მხატვრული ლიტერატურის მკითხველის წილი
 - წიგნის მყიდველების წილი
 - წიგნის ჟანრების და კატეგორიების უპირატესობები
 - წიგნის მიღების წყაროები
- ▶ საქართველოში მოქმედი ბიბლიოთეკები
 - ბიბლიოთეკების განაწილება ბიბლიოთეკის ტიპის მიხედვით
 - მკითხველის რაოდენობა
 - წიგნადი ფონდების შევსების გზები და სიხშირე
- ▶ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი, 2014-2015 წლები
 - ქართული ლიტერატურის ექსპორტი
 - ქართული ლიტერატურა თარგმანებში, თარგმანების სტატისტიკა

2.2 კვლევის მეთოდოლოგია

ქართული წიგნის ბაზრის ყველა სეგმენტის და კომპონენტის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით კვლევის ფარგლებში განისაზღვრა სამიზნე სეგმენტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოიცავს წიგნის ბაზრის ყველა სეგმენტს:

- ▶ საქართველოში მოქმედი გამომცემლობები, რომლებიც გამოსცემენ მხატვრულ / არამხატვრულ ლიტერატურას
- ▶ საქართველოში მოქმედი დისტრიბუტორები
- ▶ საქართველოში მოქმედი წიგნის მაღაზიები
- ▶ საქართველოში მოქმედი ელექტრონული წიგნის მაღაზიები
- ▶ სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებიც გამოსცემენ ლიტერატურას კომერციული მიზნით
- ▶ საქართველოში მოქმედი ბიბლიოთეკები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
- ▶ მხატვრული ლიტერატურის მკითხველი

მიზნიდან და ამოცანებიდან, ასევე სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევის ფარგლებში მოხდა სხვადასხვა მეთოდოლოგიის კომბინირებული გამოყენება:

- ▶ მეორადი ინფორმაციის მოპოვება – კვლევის ფარგლებში ACT-ის მიერ მოხდა მეორადი ინფორმაციის გამოთხოვა სხვადასხვა დაწესებულებიდან, მათ შორის: „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“, „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“, „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია“, „ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი“. ასევე საქართველოში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, ელექტრონული წიგნის მაღაზიები.
- ▶ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი – საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების მიზნით კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა შემდეგი ტექნიკა:



- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა გამომცემლობების, დისტრიბუტორების და წიგნის მაღაზიების წარმომადგენლებთან წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით.

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	გამომცემლობები, დისტრიბუტორები და წიგნის მაღაზიები
ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	▶ გამომცემლობები – 34 ინტერვიუ ▶ დისტრიბუტორები – 4 ინტერვიუ ▶ მაღაზიები – 9 ინტერვიუ
შერჩევის მეთოდი	ცენსუსი გამომცემლობების და დისტრიბუტორების შემთხვევაში. მიზნობრივი შერჩევა მაღაზიების შემთხვევაში
კვლევის არეალი	საქართველო
ინტერვიუს ხანგრძლივობა	35-40 წუთი

- პირისპირ ინტერვიუები მხატვრული ლიტერატურის მკითხველებთან წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით. აღნიშნული კომპონენტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დიდი ქალაქების მცხოვრებლების წიგნიერების დონის და წიგნის კითხვასთან დაკავშირებული უპირატესობების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს დიდი ქალაქების მცხოვრებლები, რომლებსაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში წაკითხული ჰქონდათ ერთი წიგნი მაინც (მხატვრული ლიტერატურა).
ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	700 დასრულებული ინტერვიუ
შერჩევის მეთოდი	ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატეგიკაციის მეთოდით
კვლევის არეალი	თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	30 წუთი

3. კვლევის შედეგები

3.1 საგამომცემლო ბაზრის აღწერა

2015 წლისთვის საქართველოში დაახლოებით ასამდე გამომცემლობა იყო დარეგისტრირებული. მათგან კვლევის ფარგლებში გამოიყო 55 აქტიური გამომცემლობა, რომელთა უმრავლესობა მცირე გამომცემლობას წარმოადგენს, ხოლო მსხვილი ზომის და საშუალო ზომის გამომცემლობები მხოლოდ მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილები ქართული წიგნის საგამომცემლო ბაზარზე¹.

1. სწარმოის ზომის დადგენა ხდება კომპანიის ერთი წლის ბრუნვის (დღგ-ს გარეშე) და კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობის კომბინაციით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის შესაბამისად



გამომცემლობების ზომა 2014-2015

	N-რაოდენობა	%-წილი
მსხვილი გამომცემლობები	5	9%
საშუალო გამომცემლობები	5	9%
მცირე გამომცემლობები	45	82%
ჯამში	55	100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ საგამომცემლო საქმიანობა უმეტესწილად თბილისში არის კონცენტრირებული – აღნიშნული 55 გამომცემლობიდან უმრავლესობა თბილისში არის დარეგისტრირებული. 55-დან მხოლოდ 4 წარმოადგენს რეგიონალურ გამომცემლობას, მათგან 2 ბათუმში ეწევა საგამომცემლო საქმიანობას.

საგამომცემლო ბაზრის აღწერის ფარგლებში ვერ მოხერხდა პერიოდული გამომცემლობების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ვინაიდან გამომცემლობათა ნაწილმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე, ხოლო მეორადი ინფორმაცია გამომცემლობების საქმიანობის პერიოდულობასთან დაკავშირებით არ არსებობს.

სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 34-მა გამომცემლობამ. კვლევამ მოიცვა ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშეების უდიდესი ნაწილი, ვინაიდან პროექტში მონაწილეობა მიიღო მსხვილი და საშუალო გამომცემლობების უმრავლესობამ.

კვლევაში მონაწილე გამომცემლობების ზომა 2015

	N-რაოდენობა	%-წილი
მსხვილი გამომცემლობები	4	12%
საშუალო გამომცემლობები	4	12%
მცირე გამომცემლობები	26	77%
ჯამში	34	100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

კვლევაში მონაწილე გამომცემლობების (34 გამომცემლობა) მიერ 2015 წელს გამოცემული დასახელებების ჯამური რაოდენობა 1491-ს უტოლდება – აქ შედის ნებისმიერ ჟანრის და კატეგორიის ლიტერატურა, რომელიც წიგნის სახით გამოიცა. ტენდენციის სახით იკვეთება, რომ 2013 წლიდან მოყოლებული წიგნების გამოცემის მაჩვენებელი ყოველწლიურად მატულობს – თუ 2013 წელს გამოცემული წიგნების ჯამური მაჩვენებელი 1363 დასახელება იყო, 2015 წლისთვის ეს მაჩვენებელი უკვე 1491 დასახელებას უტოლდება², რაც დაახლოებით 9%-იან მატებას გულისხმობს.

2. აღნიშნული რიცხვი სავარაუდოდ ჩამოუვარდება საქართველოში მოქმედი ყველა გამომცემლობის მიერ 2015 წელს გამოცემული დასახელებების ჯამურ რაოდენობას, ვინაიდან კვლევაში მონაწილეობა ყველა გამომცემლობამ არ მიიღო. შედარებისთვის მოვიყვანთ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ აღრიცხულ მონაცემს, რომლის მიხედვითაც 2015 წელს ჯამში გამოიცა 4173 დასახელების წიგნი – თუმცა მათ შორის არიან როგორც გამომცემლობები, ასევე ფიზიკური პირები და ინდ. მენარმეები. აღნიშნულ რიცხვებზე უფრო დეტალური საუბარი შესაბამის ქვეთავში იქნება წარმოდგენილი.

კვლევაში მონაწილე გამომცემლობების ზომა 2015

გამომცემის წელი	2013	2014	2015
გამოცემული დასახელებების რაოდენობა ჯამში	1363	1458	1491
პირველადი გამოცემები	1054	1129	1090
ხელახალი გამოცემები	352	372	454

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

კვლევის ფარგლებში მოხდა Top 10 გამომცემლობის გამოვლენა მათ მიერ 2015 წელს გამოცემული წიგნის დასახელებების რაოდენობების მიხედვით. ათეული შეირჩა მხოლოდ იმ 34 გამომცემლობას შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ კვლევაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის გამომცემლობები, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, თუმცა წიგნის ბაზარზე მნიშვნელოვან მოთამაშეებს წარმოადგენენ და მათგან ინფორმაციის მიღების შემთხვევაში სავარაუდოდ მოხვდებოდნენ აღნიშნულ ათეულში. ასეთი გამომცემლობებია „დიოგენე“ და/ან „ლოგოს პრესი“.

TOP 10 გამომცემლობა გამომცემული დასახელებების რაოდენობის მიხედვით, 2015 წელი

გამომცემლობა	დასახელებების რაოდენობები (%)
პალიტრა L	27%
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	19%
ინტელექტი	13%
გაზეთი „საქართველოს მაცნე“	7%
გამომცემლობა წიგნები ბათუმში	4%
არეტე	4%
გრიფონი	3%
არტანუჯი	2%
ნეკერი	2%
აჭარა	2%
სხვა გამომცემლობები	17%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

კვლევაში მონაწილე გამომცემლობები 2013-2015 წლებში წიგნებს საშუალოდ 1000-იანი ტირაჟით გამოსცემდნენ. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული რიცხვი არ შეცვლილა 2013 წლიდან მოყოლებული. საინტერესოა, რომ ქართულ ბაზარზე წარმოდგენილნი არიან ისეთი მსხვილი გამომცემლობებიც, რომლებსაც მაქსიმუმ 7 500 ეგზემპლარი გამოუციათ 2013 და 2015 წლებში. საქართველოში მინიმალური ტირაჟი თითო დასახელებისთვის 100 ეგზემპლარია.



ტირაჟი 2013-2015

წელი	2013	2014	2015
ჯამური ტირაჟი	3434274	2946773	3319666
საშუალო ტირაჟი (მედიანა) თითოეული დასახელებისთვის	925	575	1000
მაქსიმალური ტირაჟი თითოეული დასახელებისთვის	7 500	5 239	7 500
მინიმალური ტირაჟი თითოეული დასახელებისთვის	100	100	100

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

საინტერესოა, რომ 2015 წელს გამოცემული ჯამური ტირაჟის მიხედვით გამომცემლობების ტოპ ათეულის გამოვლენისას ლიდერი პოზიცია ამჯერად ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას უკავია³ – კვლევაში მონაწილე სხვა გამომცემლობებთან შედარებით მან 2015 წლის განმავლობაში წიგნები ყველაზე დიდი ტირაჟით გამოსცა.

ჯამური ტირაჟის მაჩვენებლებით ბაზრის უდიდეს ნაწილს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა და პალიტრა L-ი ინაწილებენ – ჯამში საგამომცემლო ბაზარზე გამოცემული წიგნების ჯამური ტირაჟის 78% სწორედ მათ ეკუთვნით.

TOP 6 გამომცემლობა ჯამური ტირაჟის მიხედვით, 2015 წელი

გამომცემლობა	ჯამური ტირაჟი (%)
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	42%
პალიტრა L	36%
ინტელექტი	6%
გამომცემლობა წიგნები ბათუმში	3%
გაზეთი „საქართველოს მაცნე“	2%
არეტე	2%
სხვაგა მომცემლობები	9%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

კვლევაში მონაწილე გამომცემლობათა საერთო შემოსავალმა გაყიდული წიგნებიდან 2015 წლისთვის 10707203⁴ ლარი შეადგინა. შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გადამუშავების გზით შესაძლებელი გახდა ჯამური შემოსავლის რიცხვის დადგენა არა მხოლოდ კვლევაში მონაწილე 34 გამომცემლობისთვის, ასევე მათთვისაც, ვინც უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე. შესაბამისად, ზემოთ მოცემულ 2015 წლის მონაცემს მინიმუმ 2 266 995 ლარი დაემატება და ჯამური მაჩვენებელი 12974198 ლარი იქნება.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ კვლევაში მონაწილე გამომცემლობების მიერ წიგნების გაყიდვით მიღებული წლიური შემოსავალი წლიდან წლამდე მატულობს, თუმცა გაყიდული ეგზემპლარების რაოდენობა შემცირებულია. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა განპირობებული იყოს ბაზარზე წიგნის ფასის მატებით.

3. წიგნის ბაზარზე საუბრისას იგულისხმება ქართულის წიგნის ბაზარზე მოღვაწე ის 34 გამომცემლობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში. აღნიშნული რიცხვი საგამომცემლო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს, ვინაიდან მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოების უმრავლეს ნაწილს ფარავს. მხოლოდ გასათვალისწინებელია, რომ ბაზარზე მოღვაწე მსხვილი გამომცემლობა „დიოგენე“ და საშუალო ზომის გამომცემლობა „ლოგოს პრესი“ არ იღებდნენ მონაწილეობას კვლევაში, რის გამოც სხვადასხვა კრიტერიუმებით Top გამომცემლობების გამოვლენა მათ გარეშე მოხდა, ხოლო მათი ზომიდან გამომდინარე, ისინი სავარაუდოდ დაიკავებდნენ გარკვეულ პოზიციას შედგენილ სიებში.

4. აღნიშნული რიცხვის ცდომილება დაახლოებით 1 000 000 – 700 000 ლარის ფარგლებში მერყეობს, რაც ნიშნავს, რომ 34 გამომცემლობის 2015 წლის შემოსავალი გაყიდული წიგნებიდან შესაძლოა იყოს როგორც მაქსიმუმ 11 707 203 ლარი, ასევე მინიმუმ 9 707 203 ლარი. აღნიშნული ცდომილება გამომდინარეობს გამომცემლობების მიერ შემოსავლების შესახებ ინფორმაციის არ გაცემით.



შემოსავალი გაყიდული ნივთებიდან 2013-2015

წელი	2013	2014	2015
გაყიდული ეგზემპლარები (ცალობით)	2989444	2596431	2469196
შემოსავალი გაყიდული ნივთებიდან (ლარში)	8153245	9361704	10707203

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა Top 10 გამომცემლობა 2015 წელს მათ მიერ გაყიდული ნივთებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით. ამ პარამეტრით წამყვან პოზიციაზე კვლავ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა იმყოფება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიაში სავარაუდოდ მოხვდებოდნენ ისეთი გამომცემლობები, როგორებიცაა ქარჩხაძის გამომცემლობა, გამომცემლობა ლეტა, დიოგენე და ელფი მათ მიერ სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდების ან კვლევაში მონაწილეობაში თანხმობის შემთხვევაში.

TOP 10 გამომცემლობა გაყიდული ნივთებიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით, 2015 წელი⁵

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

პალიტრა L

არეტე

ინტელექტი

გაზეთი „საქართველოს მაცნე“

არტანუჯი

გამომცემლობა წიგნები ბათუმში

სიესტა

წიგნიერი

მერიდიანი

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

TOP 10 გამომცემლობა გაყიდული ნივთებიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით, 2014 წელი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

პალიტრა L

ინტელექტი

არტანუჯი

გაზეთი „საქართველოს მაცნე“

წიგნიერი

არეტე

იურისტთა სამყარო

მერიდიანი

გორგა

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

5. აღნიშნულ ცხრილში არ არის მითითებული top 10 გამომცემლობიდან თითოეულის წილი გაყიდული ნივთებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენისგან თავი შევიკავეთ, ვინაიდან პროცენტული მაჩვენებლები ნათლად აჩვენებს და მარტივად გამოთვლადს ხდის თითოეული გამომცემლობის 2015 წლის შემოსავალს გაყიდული ნივთებიდან. კვლევის ფარგლებში გარკვეულ სირთულეებს წაყენებით გამომცემლობებთან ურთიერთობისას რიგი ინფორმაციის მოწოდების თვალსაზრისით, გამომცემლობებისთვის განსაკუთრებით სენსიტიური აღმოჩნდა შემოსავლებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდება. თუმცა, საბოლოო ჯამში „ეისითისთან“ კონფიდენციალურობის ხელშეკრულების და კონფიდენციალურობის დაცვის პირობის მიღების შედეგად ინფორმაცია მაინც მოგვანდოდა. იმისთვის, რომ შევასრულოთ მათთვის მიცემული პირობა და შესაბამისად, შევინარჩუნოთ გამომცემლობების დაცვა ჩვენ მიმართ, რითაც ასევე ვუზრუნველყოფთ მათ ჩართულობას სამომავლოდ დაგეგმილ კვლევებში, გადაწყვეტიტ დავიცვათ მათი კონფიდენციალურობა აღნიშნული ინფორმაციის თუნდაც ირიბად არ წარმოდგენის გზით.




გამომცემლობებისთვის ყველაზე შემოსავლიანი მხატვრული ლიტერატურის გამოცემა და გაყიდვა – 2013-2015 წლებში გამომცემლობების მიერ მიღებული შემოსავლების ყველაზე დიდი წილი სწორედ მხატვრული ლიტერატურის გაყიდვებზე მოდიოდა. ზოგიერთი გამომცემლობის შემთხვევაში მოხდა სასკოლო წიგნების წილის საგრძნობი შემცირება, რაც 2013 წელს სახელმწიფო პროგრამის შედეგი იყო, რომლის მიხედვითაც გამომცემლობებს სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის უფლება ჩამოერთვათ და მხოლოდ ბეჭდვის უფლება მიენიჭა რამდენიმე სტამბას.

მხატვრული ლიტერატურის შემდეგ ყველაზე მომგებიანი გამომცემლობებისთვის აკადემიური / პროფესიული ლიტერატურის (20%), საბავშვო ლიტერატურის (11 %) და დამხმარე სახელმძღვანელოების (9%) გამოცემა და გაყიდვაა.

2015 წელს კვლევაში მონაწილე გამომცემლობების 47%-ისთვის მხატვრული ლიტერატურის გამოცემა შემოსავლის მთავარ წყაროს (შემოსავლის 50%-ზე მეტი წილის მოდის მხატვრულ ლიტერატურაზე) წარმოადგენს. დარჩენილი 53%-ისთვის შემოსავლის ძირითადი წილი რიგ შემთხვევებში აკადემიურ / პროფესიულ ლიტერატურაზე, რიგ შემთხვევებში დამხმარე სასკოლო წიგნებზე / სახელმძღვანელოებზე და რამდენიმე შემთხვევაში საბავშვო ლიტერატურაზე მოდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლიდან 2015 წლამდე სამიზნე სეგმენტში წიგნის ჟანრის / კატეგორიის განაწილება შემოსავლების მიხედვით უმეტესწილად არ შეცვლილა, 9 გამომცემლობის შემთხვევაში მხატვრული ლიტერატურის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 2014 წელთან შედარებით მომატებულია, ხოლო ერთეულ შემთხვევებში მხატვრული ლიტერატურის გაყიდვით მიღებული შემოსავალი შემცირებულია.

შემოსავალი გაყიდული წიგნებიდან კატეგორიის მიხედვით 2013-2015



შენიშვნა: გრაფიკზე მოცემულია 34 გამომცემლობის მიერ დასახელებული პასუხების საშუალო მაჩვენებლები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მხატვრული ლიტერატურის გაყიდვით მიღებული შემოსავლების მიხედვით ლიდერ პოზიციებზე იმყოფებიან ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გამომცემლობა არეტე და გამომცემლობა ინტელექტი.

TOP 10 გამომცემლობა მხატვრული ლიტერატურის გაყიდვით მიღებული შემოსავლის მიხედვით, 2015 წელი

გამომცემლობა	მხატვ. ლიტერატურიდან მიღებული შემოსავლების პროცენტული განაწილება
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	26%
არეტე	17%
ინტელექტი	16%
პალიტრა L	11%
გაზეთი „საქართველოს მაცნე“	9%
არტანუჯი	7%
გამომცემლობა წიგნები ბათუმში	5%
სიესტა	4%
შემეცნება	1%
ქართული ბიოგრაფიული ცენტრი	1%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არამხატვრული ლიტერატურის გაყიდვით მიღებული შემოსავლების მიხედვით გამომცემლობების გადანაწილებისას სრულიად განსხვავებულ სურათს ვიღებთ. ლიდერი პოზიცია გამომცემლობა „წიგნიერს“ უკავია. მას მოსდევნენ გამომცემლობები „პალიტრა L“ და „არეტე“ თანაბარი მაჩვენებლებით.⁶

TOP 10 გამომცემლობა არამხატვრული ლიტერატურის გაყიდვით მიღებული შემოსავლის მიხედვით, 2015 წელი

გამომცემლობა	არამხატვ. ლიტერატურიდან მიღებული შემოსავლების პროცენტული განაწილება
წიგნიერი	30%
პალიტრა L	17%
არეტე	17%
იურისტთა სამყარო	11%
ინტელექტი	8%
მერიდიანი	6%
შემოქმედი ანგელოზი	4%
გამომცემლობა აზრი	2%
სიესტა	2%
ნეკერი	2%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

6. არამხატვრული ლიტერატურის კატეგორიაში არ შედის საბავშვო ლიტერატურა, სასკოლო წიგნები, სახელმძღვანელოები, სასკოლო წიგნების კრებულები, დამხმარე სასკოლო წიგნები, სურათებიანი წიგნები, რელიგიური თემატიკის წიგნები, სამუსიკო ნოტები, ლექსიკონები, ალბომები, რუკები.

საბავშვო ლიტერატურის გაყიდვით მიღებული შემოსავლების მიხედვით ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ბაზრის⁷ ყველაზე გამოკვეთილ ლიდერს წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ სიაში დიდი ალბათობით მოხვდებოდა „ქარჩხაძის გამომცემლობაც“.

TOP 11 გამომცემლობა საბავშვო ლიტერატურის გაყიდვით მიღებული შემოსავლის მიხედვით, 2015 წელი	
გამომცემლობა	საბავშვო ლიტერატურიდან მიღებული შემოსავლების პროცენტული განაწილება
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	86%
პალიტრა L	10%
გამომცემლობა წიგნები ბათუმში	2%
წიგნიერი	1%
შემეცნება	1%
სიესტა	0.4%
მერიდიანი	0.3%
აგორა	0.1%
გრიფონი	0.1%
შემოქმედი ანგელოზი	0.1%
ნეკერი	0.1%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

2015 წლისთვის საგამომცემლო ბაზარზე ქართული ლიტერატურის დასახელებები რაოდენობრივად შედარებით მაღალი წილით გამოიყა – გამოცემული დასახელებებიდან 55% მოდიოდა ქართულ ლიტერატურაზე, ხოლო 45% თარგმნილზე. კვლევის შედეგად ვლინდება, რომ თარგმნილი ლიტერატურის გამოცემა გააქტიურებულია 2015 წელს წინა 2 წელთან შედარებით – კერძოდ კი, თარგმნილი ლიტერატურის მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო 2013 წელს (31%) და ასევე შედარებით დაბალი იყო 2014 წელს (38%).

გამოკითხული 34 გამომცემლობიდან 2015 წელს თარგმნილი ლიტერატურა საერთოდ არ გამოუცია 14 გამომცემლობას, მათგან 3 გამომცემლობას კი 2015 წელს არც ქართული ლიტერატურა გამოუცია და მოლვაწობდა მხოლოდ 2013-2014 წლებში.

7. იგულისხმება ის საგამომცემლო ბაზარი, რომელიც მონაწილეობდა კვლევაში. იმ გამომცემლობებზე კი, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, მეორადი ინფორმაციის დახმარებითაც კი შეუძლებელი გახდა ინფორმაციის მოპოვება და სხვადასხვა კატეგორიის ლიტერატურის მიმართულებით მათ პოზიციებზე მიახლოებითი წარმოდგენის შექმნა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან კვლევა მოიცავდა ბაზრის თითქმის ყველა მსხვილ მოთამაშეს, ანგარიშში მოცემული ტენდენცია რეალობასთან საკმაოდ ახლოს დგას. მიუხედავად ამისა, სიეზზე საუბრისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული გამომცემლობა „დიოგენე“ და „ელფი“, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე.

ქართული და თარგმნილი ლიტერატურა 2013-2015

წელი	2013		2014		2015	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ქართული ლიტერატურა (დასახელებების რაოდენობა)	744	69%	681	62%	661	55%
თარგმნილი ლიტერატურა (დასახელებების რაოდენობა)	335	31%	424	38%	546	45%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

თარგმნილი ლიტერატურის დასახელებების რაოდენობის გამოცემის კუთხით თითქმის მსგავსი მაჩვენებლებით ლიდერობენ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, პალიტრა L და გამომცემლობა ინტელექტი.

TOP 11 გამომცემლობა თარგმნილი ლიტერატურის გამოცემული დასახელებების რაოდენობის მიხედვით, 2015 წელი

გამომცემლობა	გამომცემული თარგმნილი ლიტ. დასახელებების პროცენტული მაჩვენებელი ⁸
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	25%
პალიტრა L	23%
ინტელექტი	22%
გამომცემლობა წიგნები ბათუმში	9%
არეტე	7%
არტანუჯი	4%
აგორა	3%
წიგნიერი	1.3%
სიესტა	1.3%
ქარჩხაძის გამომცემლობა	0.9%
საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“	0.9%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

კვლევის შედეგად ვლინდება, რომ გამომცემლობები ყველაზე ხშირად ინგლისურიდან თარგმნილ დასახელებებს გამოსცემენ. ინგლისურის მერე გამოცემის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს გერმანული, ფრანგული და რუსული ენებიდან თარგმნილი დასახელებების გამოცემას.

8. ცხრილში წარმოდგენილია თითოეული გამომცემლობის წილი 2015 წელს 34 გამომცემლობის მიერ გამოცემული თარგმნილი დასახელებების ჯამური რაოდენობიდან.

2015 წელს გამოცემული თარგმნილი წიგნები

ორიგინალი ენა	პროცენტული მაჩვენებელი 20 გამოცემლობიდან
ინგლისური	65%
გერმანული	50%
ფრანგული	45%
რუსული	40%
თურქული	15%
ძველიბერძნული	10%
შვედური	5%
ნორვეგიული	5%
პოლონური	5%
ლათვიური	5%
ესპანური	5%
ჩეხური	5%
უნგრული	5%
არაბული	5%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან

2014 წელს თარგმნილი ლიტერატურა საერთოდ არ გამოუცია 34-დან 17 გამომცემლობას, თუმცა, 5 მათგანი არც ქართულ წიგნს გამოსცემდა, ხოლო ერთ გამომცემლობას 2014 წელს საერთოდ არ ჰქონდა დაწყებული ფუნქციონირება. საინტერესოა, რომ 2014 წელთან შედარებით მომატებულია ინგლისურიდან თარგმნილი წიგნების გამოცემის მაჩვენებელი (2015 – 63%; 2014 – 53%). იგივე შეიძლება ითქვას გერმანული და ფრანგული ენებიდან თარგმნილი ლიტერატურის გამოცემის მაჩვენებლებზე – ისინი მომატებულია 2014 წელთან შედარებით.

2014 წელს გამოცემული თარგმნილი წიგნები


ორიგინალი ენა	პროცენტული მაჩვენებელი 17 გამომცემლობიდან
რუსული	56%
ინგლისური	56%
გერმანული	40%
ფრანგული	40%
შვედური	13%
ძველიბერძნული	13%
ნორვეგიული	7%
ესპანური	7%
ფინური	7%
იტალიური	7%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 34 გამომცემლობასთან



2013-2015 წლებში გამომცემლობები თარგმნილ წიგნებს შორის ყველაზე დიდი წილით მხატვრულ ლიტერატურას გამოსცემდნენ (69%). 2015 წელს მხატვრული ლიტერატურის შემდეგ გამომცემლობები ყველაზე დიდი მაჩვენებლით საბავშვო ლიტერატურას (14%) და აკადემიურ / პროფესიულ ლიტერატურას (11%) გამოსცემდნენ.

თარგმნილი წიგნების პროცენტული განაწილება კატეგორიების მიხედვით 2013-2015



შენიშვნა: გრაფიკზე მოცემულია იმ გამომცემლობების შედეგები, რომლებმაც გამოსცეს თარგმნილი წიგნები 2013-2015 წლებში.

წიგნის გამომცემლობებისთვის მათ მიერ გამოცემული წიგნების დისტრიბუცია / გაყიდვა უმეტესწილად წიგნის გამავრცელებელი კომპანიების / დისტრიბუტორების საშუალებით ხდება. 2013-2015 წლებში გამომცემლობების უმრავლესობა (2015 წელს 69%, 2014 წელს 63%, 2013 წელს 59%) გამოცემული წიგნების გაყიდვის მიზნით დისტრიბუტორებთან / წიგნის გამავრცელებელ კომპანიებთან ურთიერთობს. უნდა აღინიშნოს, რომ წლიდან წლამდე მატულობს დისტრიბუტორის გარეშე პირდაპირ მაღაზიასთან ურთიერთობის პრაქტიკა – გამომცემლობების 56% ამ სადისტრიბუციო არხსაც მიმართავს 2015 წელს, მაშინ, როდესაც 2013 წელს ეს მაჩვენებელი 41%-ს უტოლდებოდა.


კვლევის შედეგად იკვეთება, რომ 2013 წელთან შედარებით უფრო მეტი გამომცემლობა იყენებს აგენტებს / პრომოუტერებს, როგორც სადისტრიბუციო არხს – 2013 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 19% მიმართავდა აღნიშნულ პრაქტიკას, ხოლო 2015 წელს ეს მაჩვენებელი 41%-ია.

რაც შეეხება ინტერნეტს, ბეჭდური წიგნების გაყიდვის მიზნით ამ არხს მიმართავს გამოკითხულთა 19%, რაც სამჯერ აღემატება ამავე არხის გამოყენების 2013 წლის მაჩვენებელს (6%).

გამომცემლობათა ყველაზე მცირე ნაწილი (9%) ასახელებს ადგილობრივი წიგნის ბაზრობებსა და ფესტივალებს, როგორც წიგნის გაყიდვის არხს – ეს მაჩვენებელი გაზრდილია 2013 წელთან შედარებით (3%).

და ბოლოს, გამოკითხულთაგან 3 გამომცემლობა წიგნებს მხოლოდ დამკვეთის მეშვეობით ჰყიდის – იღებს შეკვეთებს და გამოსცემს ეგზემპლარების მხოლოდ იმ რაოდენობას, რომელიც სჭირდება დამკვეთს.

სადისტრიბუციო არხების გამოყენება 2013-2015



შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია ამა თუ იმ სადისტრიბუციო არხის დასახელების მაჩვენებელი

სადისტრიბუციო არხების წილი 2014-2015

სადისტრიბუციო არხები	სადისტრიბუციო არხების პროცენტული განაწილება მათი მოხმარების მიხედვით	
	2015	2014
დისტრიბუტორები / წიგნის გამავრცელებელი კომპანიები	42%	39%
წიგნის მალაზიები (წიგნების გაყიდვა ხდება დისტრიბუტორის გარეშე)	23%	19%
აგენტები / პრომოუტერები – კარდაკარის პრინციპი, სატელეფონო გაყიდვები და ა.შ	10%	8%
დამკვეთი	9%	9%
ადგილზე რეალიზაცია	6%	6%
ადგილობრივი წიგნის ბაზრობები და ფესტივალები	2%	1%
ინტერნეტი – ელექტრონული წიგნების გაყიდვა ვებგვერდების მეშვეობით	2%	3%
ინტერნეტი – ბეჭდური წიგნების გაყიდვა ინტერნეტის მეშვეობით	1%	1%

შენიშვნა: ცხრილში მოცემული პროცენტული მაჩვენებლები წარმოადგენს თითოეული სადისტრიბუციო არხისთვის ყველა გამომცემლობის მიერ დასახელებული პროცენტის ჯამურ საშუალოს

გამომცემლობების მარკეტინგული აქტივობები

გამოკითხული გამომცემლობების უმრავლესობა (68%) 2015 წელს ახორციელებდა მარკეტინგულ აქტივობებს, ხოლო გამომცემლობათა მესამედს (32%) ამ კუთხით არ უაქტიურია. უნდა აღინიშნოს, რომ მარკეტინგის მიმართულებით გამომცემლობათა ყველაზე დიდი ნაწილი ფასდაკლებების პრაქტიკას მიმართავს – როგორც ზოგადად არსებულ პროდუქციაზე ფასდაკლებებს, ასევე ფასდაკლებებს წიგნების ფესტივალების ფარგლებში ან სადღესასწაულო პერიოდში. გარდა ფასდაკლებებისა, ბოლო წლის განმავლობაში გამომცემლობები ახ-



დენდენ პროდუქციის რეკლამირებას ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტის საშუალებით. ასევე გამოიყენებოდა გარე რეკლამირების ისეთი საშუალებები, როგორებიცაა ბილბორდები, ბროშურები და ფლაერები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლობები მარკეტინგული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის ძირითად შემთხვევებში საკუთარ ვებგვერდს ან ფეისბუქის გვერდს იყენებენ, რასაც სავარაუდოდ ხარჯთ-ფეექტურობის მიზეზით ენიჭება უპირატესობა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამომცემლობების უდიდესი ნაწილის მარკეტინგული აქტიურობა წიგნებზე ფასდაკლებებით შემოიფარგლება, ხოლო საკომუნიკაციო არხად მათივე ვებ-გვერდები და ფეისბუქ გვერდები გამოიყენება. თუმცა რამდენიმე გამომცემლობა მარკეტინგულად უფრო აქტიურია და მომხმარებელთან საკომუნიკაციოდ გაცილებით მრავალფეროვან ხერხებს მიმართავს. მათ შორის არიან შემდეგი გამომცემლობები:

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – გარდა ფასდაკლებებისა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ 2015 წლის განმავლობაში მკითხველს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, კონკურსები და პრემენტაციები შესთავაზა. მაგალითად, მათ შორის იყო „ჭონ გრინის წიგნის მალაზია“, „ბრმა პაემანი წიგნთან“, წიგნის ვიდეო თრეილერი, სასკოლო კონკურსების პროექტი „ყველაზე წიგნიერი“ და ა.შ.

გარდა საკუთარი ვებგვერდისა და ფეისბუქის გვერდისა, გამომცემლობა ასევე იყენებდა სატელევიზიო, ბეჭდურ, ინტერნეტ და გარე რეკლამირების საშუალებებს საკუთარი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. გარდა ამისა, გამომცემლობის აქტივობები შექდებოდა ტელევიზიით, კეთდებოდა რეპორტაჟები. გამომცემლობა მონაწილეობდა სპონსორობაში.

პალიტრა L – მარკეტინგული აქტიურობით ასევე გამოირჩევა გამომცემლობა პალიტრა L. გარდა ფასდაკლებებისა, ამ გამომცემლობის მიერ 2015 წელს განხორციელებულ აქტივობებს შორისაა რეკლამის გამოყენება სატელევიზიო სივრცეში, ბეჭდურ მედიაში, ინტერნეტში, რადიოში, გარე სარეკლამო არხების გამოყენება (ბილბორდები, ბუკლეტები), რეკლამა წიგნის მალაზიებში.

გამომცემლობა წიგნები ბათუმში – მიუხედავად იმისა, რომ საგამომცემლო ბაზარზე აღნიშნული გამომცემლობა შედარებით ახალია, ის საკმაოდ აქტიურია მარკეტინგის კუთხით. 2015 წლის განმავლობაში ის მკითხველს სთავაზობდა ფასდაკლებების აქციებს, სპეციალურ შეთავაზებებს სხვადასხვა წიგნზე, წიგნების გათამაშებებს, კონკურსებს. გამომცემლობა ასევე აქტიური იყო რეკლამირების თვალსაზრისით, რისთვისაც იყენებდა სატელევიზიო, ინტერნეტ და რადიო სივრცეებს. საკომუნიკაციოდ ასევე იყენებდა გარე რეკლამის არხს (ბუკლეტები) და წიგნის მალაზიას.

სიესტა – ამ გამომცემლობის მიერ 2015 წლის განმავლობაში განხორციელებულ მარკეტინგულ აქტივობებს შორისაა წიგნის ფესტივალზე დაწესებული ფასდაკლებები, აქციები სოციალურ ქსელში და ახალი გამოცემების პრემენტაციები. მკითხველთან კომუნიკაციისთვის გამომცემლობა მიმართავს სატელევიზიო და რადიო რეკლამებს, გარე რეკლამას (ბროშურები / ბუკლეტები), ასევე საკუთარ ვებგვერდსა და ფეისბუქის გვერდს.

ლიტერატურულ პრემიებსა და კონკურსებში მონაწილეობა

2015 წლის განმავლობაში გამოკითხული გამომცემლობების (32%) მხოლოდ 44%-ს მიუღია მონაწილეობა ლიტერატურულ კონკურსებსა და პრემიებში – მათ მიერ გამოცემული რომელიმე წიგნი ნომინირებული იყო ერთხელ მაინც, თუნდაც ჭილდოს მიღების გარეშე. გამოკითხულთა 16%-ს⁹ მიუღია პრემია / ჭილდო მათ მიერ გამოცემული წიგნებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში 2015 წელს.

გამომცემლობები უმეტესწილად ლიტერატურულ პრემია „საბაში“ მონაწილეობდნენ. 2015 წლის განმავლობაში გამომცემლობებს მონაწილეობა ასევე მიუღიათ ლიტერატურულ კონკურსებში: „გალა“, „წერო“, ილიაუნის პრემია, „წინანდლის პრემია“, „ბუკნაჭო“, „ემიგრანტის წერილები“, „ერთგულება“. კვლევის შედეგად გამოვლინდა გამომცემლობები, რომლებიც 2015 წლის განმავლობაში ყველაზე წარმატებულები აღმოჩნდნენ ლიტერატურული ჭილდოების მოპოვების კუთხით:

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – მონაწილეობა მიიღო ლიტერატურულ კონკურსებში: საბა, წინანდლის პრემია, ილიაუნის პრემია. ჭილდო მოიპოვა მის მიერ გამოცემულმა დასახელებებმა ნომინაციაში წლის საუკეთესო თარგმანი (საბა) და საუკეთესო ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა (საბა).

9. აღნიშნულ მონაცემში არ იგულისხმება გამომცემლობა „დიოგენე“, რომლის მიერ გამოცემულ წიგნს 2015 წელს აქვს აღებული ლიტერატურული პრემია.



გამომცემლობა აზრი – 2015 წელს მონაწილეობდა ლიტერატურულ კონკურსში საბა. მის მიერ გამოცემულმა წიგნმა ჭილდო მიიღო ნომინაციაში საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა და წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი.

გამომცემლობა ინტელექტი – 2015 წელს მონაწილეობდა ლიტერატურულ კონკურსებში საბა, გალა და საგურამოს ყოველწლიური პრემია. მისმა გამოცემებმა საბას კონკურსში ჭილდოები მიიღეს ნომინაციებში წლის საუკეთესო პროზაული კრებული, საუკეთესო პოეტური კრებული. ასევე საგურამოს პრემიის ნომინაციებში ათასწლეულის საუკეთესო ლიტერატურული მოვლენა, საუკეთესო რომანი და კრიტიკა.

გამომცემლობა დიოგენე – აღნიშნულმა გამომცემლობამ 2015 წელს მონაწილეობა მიიღო ლიტერატურულ პრემია საბაში და მის მიერ გამოცემულმა წიგნებმა ჭილდოები მიიღეს ნომინაციებში წლის საუკეთესო რომანი და წლის საუკეთესო თარგმანი.

წიგნის ბაზრობებში მონაწილეობა

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ქვეყნის ყველაზე პოპულარულ და მასშტაბურ წიგნის ბაზრობას / ფესტივალს თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი წარმოადგენს – მასში 2013-2015 წლებში გამომცემლობების უმრავლესობა მონაწილეობდა ერთხელ მაინც, ხოლო გამოკითხულთა 41 % რეგულარულად, ყოველწლიურად მონაწილეობს აღნიშნულ ფესტივალში. ეს მაჩვენებელი აღემატება ნებისმიერ სხვა მსგავსი ტიპის ადგილობრივ ღონისძიებაში მონაწილეობის მაჩვენებელს.

გამომცემლობების მონაწილეობის შედარებით დაბალი ხარისხი გამოვლინდა ისეთი ადგილობრივი წიგნის ბაზრობებისთვის, როგორებიცაა თბილისის წიგნის დღეები, საგაზაფხულო ფესტივალი – წიგნი და მუსიკა, წიგნის საახალწლო ფესტივალი, წიგნის საშემოდგომო ფესტივალი, თბილისის წიგნების გამოფენა-გაყიდვა, წიგნის საახალწლო ბაზრობა, წიგნის საერთაშორისო დღე. ცალკეულ შემთხვევებში გამომცემლობებს ასევე მონაწილეობა მიუღიათ რეგიონალურ ფესტივალებში.

რაც შეეხება საერთაშორისო ბაზრობებს, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხული გამომცემლობების მესამედს მონაწილეობა მიუღია წიგნის საერთაშორისო ბაზრობებსა და ფესტივალებში. მონაწილეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის კუთხით უნდა აღინიშნოს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა – ის საქართველოში მოღვაწე გამომცემლობებისთვის ყველაზე პოპულარულ საერთაშორისო წიგნის ბაზრობას წარმოადგენს. მონაწილეობის მაჩვენებლებით ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას ლონდონის წიგნის ბაზრობა მოსდევს, რომელშიც 2013-2015 წლებში 4 გამომცემლობას მიუღია მონაწილეობა, მათგან ორი კი ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას აღნიშნულ ბაზრობაში. გამომცემლობათა ძალიან მცირე ნაწილი რეგულარულად იღებს მონაწილეობას ლაიფციგის, ბოლონიის, ირანის, არაბეთის, სტამბულის წიგნის ბაზრობებში. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში დასახელდა ამერიკის და მინსკის წიგნის ბაზრობები.

წიგნის ბაზრობებში მონაწილეობის მიღების სიხშირის კუთხით შესაძლებელია, რომ გამოიყოს გამომცემლობა სიესტა, ქარჩხაძის გამომცემლობა და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – ისინი რეგულარულად იღებენ მონაწილეობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო წიგნის ბაზრობებში. ასევე, უნდა აღინიშნოს გამომცემლობები „არტანუჯი“ და „ინტელექტი“, რომლებიც უმეტესწილად საერთაშორისო წიგნის ბაზრობებში მონაწილეობენ, მათ შორისაა ფრანკფურტის, ლონდონის, ირანის და არაბეთის წიგნის ბაზრობები.

დისტრიბუტორებთან ურთიერთობა

გამოკითხული გამომცემლობების უმრავლესობა თანამშრომლობს დისტრიბუტორებთან / წიგნის გამავრცელებელ კომპანიებთან მათ მიერ გამოცემული წიგნების გავრცელების მიზნით. გამომცემლობათა მეოთხედი (8 გამომცემლობა) საერთოდ არ თანამშრომლობს დისტრიბუტორებთან, ვინაიდან მათ მიერ გამოცემული წიგნების გასაყიდად პირდაპირ წიგნის მაღაზიებს მიმართავენ, ყიდის ინტერნეტის საშუალებით ან პირდაპირ შეკვეთებს ასრულებენ.

რაც შეეხება გამომცემლობებისა და დისტრიბუტორების ურთიერთობის ფორმებს, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამომცემლობებისათვის ყველაზე დამახასიათებელია დისტრიბუტორებისთვის წიგნის ფიქსირებული გასაყიდი ფასით მიწოდება და ამ ფასის ფარგლებში დისტრიბუტორისთვის ფასდაკლების შეთავაზება. ასეთ შემთხვევაში გამომცემლობის მიერ დადგენილი საბოლოო გასაყიდი ფასი უცვლელია და წიგნი მკითხველამდე ერთი, ფიქსირებული ფასით მიდის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სავაჭრო ობიექტში შეიძენს ის წიგნს. დისტრიბუტორებთან ამ ფორმით ურთიერთობებისას გამომცემლობები უმეტესწილად ერთნაირი



პირობებით მუშაობენ სხვადასხვა დისტრიბუტორთან. თუმცა ერთეულ შემთხვევაში ფიქსირებული ფასით წიგნების მიწოდებისას გამომცემლობები სხვადასხვა ფასდაკლებას უკეთებენ სხვადასხვა დისტრიბუტორს, ხოლო ფასდაკლების ოდენობა შეკვეთების მოცულობაზე, გადახდების პირობებსა და დისტრიბუტორებთან თანამშრომლობის ხანგრძლივობით განისაზღვრება გამომცემლობის მიერ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა დისტრიბუტორებთან ურთიერთობის სხვა ფორმებიც. მაგალითად, რამდენიმე გამომცემლობა გარკვეულ ფასად აძლევს წიგნებს დისტრიბუტორებს, ხოლო დისტრიბუტორები ამ შემთხვევაში ან თავად ადებენ საბოლოო გასაყიდ ფასს, ან საბოლოო ფასს წიგნის მაღაზია განსაზღვრავს. ასეთ შემთხვევებში წიგნის ფასი შესაძლოა განსხვავდებოდეს სავაჭრო ობიექტების მიხედვით და მყიდველს სხვადასხვა მაღაზიაში წიგნი სხვადასხვა ფასად დახვდეს.

და ბოლოს, გამომცემლობების მცირე ნაწილს განსხვავებული ურთიერთობის ფორმები აქვს სხვადასხვა დისტრიბუტორთან – ზოგიერთთან ფიქსირებული საბოლოო გასაყიდი ფასით თანამშრომლობს, ხოლო ზოგ დისტრიბუტორს წიგნებს გარკვეულ ფასად აძლევს და არ უსაზღვრავს საბოლოო გასაყიდ ფასს.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ყველა დისტრიბუტორთან ერთნაირი პირობებით თანამშრომლობს, რაც ნიშნავს, რომ ყველას ერთნაირ ფასდაკლებას სთავაზობს ფიქსირებული ფასის ფარგლებში ან ყველას ერთნაირი ფასით აწვდის წიგნებს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გამომცემლობათა მცირე ნაწილში გამოვლინდა, რომ ისინი განსხვავებული პირობებით თანამშრომლობენ სხვადასხვა დისტრიბუტორთან. დისტრიბუტორთან ურთიერთობის ფორმა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის დისტრიბუტორის მიერ გაკეთებული შეკვეთის მოცულობაზე, დისტრიბუტორთან თანამშრომლობის ხანგრძლივობასა და პოზიტიურ გამოცდილებაზე, პირად ნაცნობობასა და მეგობრობაზე, ნდობაზე, ლოგისტიკურ საკითხებზე, მაგალითად ტრანსპორტირების პირობებზე და ა.შ.

3.2 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცემა

საგამომცემლო წიგნის ბაზარზე გამომცემლობებად ასევე გვევლინებიან ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, როგორებიცაა სახელმწიფო უნივერსიტეტები, მუზეუმები, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრები და ა.შ. ისინი 2013-2015 წლებში, ასევე, გამოსცემდნენ მხატვრულ თუ არამხატვრულ ლიტერატურას, რომელსაც ჰქონდა კომერციული დანიშნულება(ც), ანუ ხდებოდა ამ წიგნების მკითხველზე რეალიზება. კვლევის ფარგლებში ამგვარ გამოცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება მოხდა შემდეგი დაწესებულებებიდან¹⁰:

- ▶ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ▶ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- ▶ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
- ▶ კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“
- ▶ საქართველოს ეროვნული მუზეუმი

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები უმეტესწილად არამხატვრულ ლიტერატურას გამოსცემენ – მათ მიერ ჯამში გამოცემული დასახელებების მხოლოდ 13%-ს თუ შეადგენს მხატვრული ლიტერატურა. ბუნებრივია, რომ გამომცემლობებთან შედარებით მსგავსი დაწესებულებები წიგნებს უფრო დაბალი ტირაჟით გამოსცემენ – ტირაჟის საშუალო მაჩვენებელი თითო დასახელებისთვის 375 ეგზემპლარის ტოლია.

10. მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ანგარიშში მოცემულ ანალიზში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც 2013-2015 წლებში გამოუციათ ლიტერატურა კომერციული დანიშნულებით.

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების გამოცემები 2013-2015

წელი	2013	2014	2015
დასახელებების რაოდენობა (ცალობით) ¹¹	93	88	99
მხატვრული ლიტერატურის მაჩვენებელი (%)	14%	16%	10%

3.3 წიგნების გამოცემა 2013-2015

საქართველოში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აწარმოებს ISBN კოდით ქვეყნის მასშტაბით გამოცემული წიგნების აღრიცხვას. ეს მონაცემთა ბაზა, ასევე, ივსება სავალდებულო ეგზემპლარის წესის შესაბამისად. აღნიშნული მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2015 წელს საქართველოში წიგნის 4 173 დასახელება გამოიცა. ამ რიცხვში შედის ნებისმიერი გამომცემლობის, ინდ. მენარმის, ფიზიკური პირის თუ სხვა ინსტიტუციის / კომპანიის მიერ გამოცემული წიგნი.

2013-2015 წლების განმავლობაში შეინიშნება გამოცემული დასახელებების რაოდენობის ზრდა – ამ წლებში 2015 წელს ყველაზე მეტი დასახელების წიგნი გამოიცა.

2013-2015 წლებში საქართველოში ყველაზე დიდი წილით გამოიცემოდა ქართული წიგნები. გარდა ქართული წიგნებისა, ასევე, გამოიცემა ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურა, უცხოენოვანი ლიტერატურა და უცხო ენაზე ნათარგმნი ქართული ლიტერატურა.

წიგნების გამოცემა

წელი	2013	2014	2015
გამოცემული დასახელებების რაოდენობა	3, 745	2, 964	4, 173

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

2013 და 2014 წლებში გამოცემულ ყველა დასახელებას შორის არამხატვრული ლიტერატურა უფრო დიდი წილით არის წარმოდგენილი – მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურის პროცენტული შეფარდება 2013 წელს 41% / 59% ფიქსირდებოდა, ხოლო 2014 წელს განაწილება 39% / 61%-ზე მოდიოდა. ვინაიდან პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ISBN კოდისა და სავალდებულო ეგზემპლარის მონაცემთა ბაზა არ არის განახლებული 2015 წლის აგვისტოდან, ზუსტი რიცხვების მოყვანა 2015 წლისთვის შეუძლებელია. 2015 წლის იანვარი – ივლისის მონაცემებით კი, მხატვრული / არამხატვრული ლიტერატურის პროცენტული შეფარდება 2013-2014 წლის ტენდენციას იმეორებს და 39% / 61%-ია.

მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურა

წელი	2013	2014	2015
მხატვრული	1536	1145	—*
არამხატვრული	2207	1819	—

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

*2015 წლის მონაცემი არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ISBN კოდისა და სავალდებულო ეგზემპლარის საფუძველზე არსებული მონაცემთა ბაზა არ არის განახლებული 2015 წლის აგვისტოდან.

11. გამოცემების რაოდენობები ასევე მოიცავს იმ დაწესებულებებს, რომლებთანაც არ შედგა თანამშრომლობა კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის მოწოდების თაობაზე. მსგავსი დაწესებულებების გამოცემების რაოდენობები მოპოვებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ISBN და სავალდებულო ეგზემპლარის ბაზიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზა არ არის განახლებული 2015 წლის აგვისტოდან, შესაბამისად 2015 წლის მონაცემები არასრულყოფილია.



2013 – 2014 წლებში ქვეყნის მასშტაბით გამოცემული დასახელებების უმეტესობა ქართული ლიტერატურაა – 2013 წელს გამოცემული დასახელებების 84% და 2014 წელს გამოცემული დასახელებების 78% წარმოადგენს ქართულ წიგნს (ორიგინალი და ტექსტის ენა ქართულია).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს გამოცემული ქართული წიგნების 5% და 2014 წელს 7% წარმოადგენს ორ ან მეტ ენოვან გამოცემებს, რომელთა ორიგინალი ენაც ქართულია. 2015 წლის შემთხვევაშიც მსგავს ტენდენციასთან გვაქვს საქმე – ამ წლის იანვარი – ივლისში გამოცემული დასახელებების უმეტესი ნაწილი (77%) ქართული წიგნია, შემდეგ მოდის ქართულად თარგმნილი წიგნები (17%), უცხოენოვანი წიგნების პროცენტული მაჩვენებელი 5%-ია, ხოლო ყველაზე დაბალი წილით წარმოდგენილია უცხო ენაზე თარგმნილი ქართული წიგნები (2%).

ქართული და თარგმნილი ლიტერატურა			
წელი	2013	2014	2015
ქართული (ორიგინალი ენა და ტექსტის ენა ქართული)	3152	2312	—*
ქართული ლიტერატურა უცხო ენაზე	34	47	—
თარგმნილი ლიტერატურა ქართულ ენაზე	352	435	—
უცხოური ლიტერატურა უცხო ენაზე	207	170	—

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

*2015 წლის მონაცემი არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ISBN კოდისა და სავალდებულო ეგზემპლარის საფუძველზე არსებული მონაცემთა ბაზა არ არის განახლებული 2015 წლის აგვისტოდან.

წიგნის საშუალო ფასი

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2015 წლისათვის საქართველოში წიგნის საშუალო გასაყიდი ფასი 11.75 ლარი იყო. 2013 წლიდან 2015 წლამდე წიგნის ბაზარზე წიგნის გასაყიდი ფასის მატება შეინიშნება.

წიგნის საშუალო ფასი			
წელი	2013	2014	2015
წიგნის გასაყიდი საბოლოო ფასი GEL საშუალო მაჩვენებელი	10.77	11.09	11.75
წიგნის გასაყიდი საბოლოო ფასი EUR ¹² საშუალო მაჩვენებელი	4.05	4.17	4.42

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები გამომცემლობებთან, დისტრიბუტორებთან, წიგნების მაღაზიებთან (სულ 47 ინტერვიუ)

12. ფასი ევროში დათვლილია 2016 წლის 30 მარტს დაფიქსირებული საქართველოს ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსით 2.6602

წიგნის საშუალო ფასი კატეგორიების მიხედვით

წელი	2013		2014		2015	
ვალუტა	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
მხატვრული ლიტერატურა	10.4	3.9	10.76	4.04	12.11	4.55
აკადემიური / პროფესიული ლიტერატურა	14.41	5.42	14.11	5.30	16.12	6.06
საბავშვო ლიტერატურა	11.83	4.45	11.23	4.22	11.86	4.46
სასკოლო წიგნები / სახელმძღვანელოები / სასკოლო წიგნების კრებულები	7.67	2.88	7.37	2.77	8.15	3.06
დამხმარე სასკოლო წიგნები / სახელმძღვანელოები	8.55	3.21	7.73	2.91	8.09	3.04
სურათებიანი წიგნები	16.38	6.16	18.1	6.80	16.75	6.30
რელიგიური თემატიკის წიგნები	9	3.38	10.87	4.09	14.22	5.35

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები გამომცემლობებთან, დისტრიბუტორებთან, წიგნების მაღაზიებთან (სულ 47 ინტერვიუ)

3.4 დისტრიბუცია / სადისტრიბუციო არხები

დისტრიბუტორები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მონაცემებით, სულ საქართველოში ფიქსირდება 83 ორგანიზაცია, რომლებიც საქმიანობენ წიგნებით საბითუმო ვაჭრობის სფეროში (საბითუმო ვაჭრობა საკანცელარიო საკუთნოებით, წიგნებით, გაზეთებითა და სხვა პერიოდული გამოცემებით). აღნიშნული ორგანიზაციები შესაძლოა ეწეოდნენ როგორც მხატვრული, ასევე, არამხატვრული წიგნებისა და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთებით საბითუმო ვაჭრობას. დასაქმებული თანამშრომლებისა და წლიური ბრუნვის მიხედვით ეს ორგანიზაციები იყოფა მცირე, საშუალო და მსხვილ კომპანიებად. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მოცემული ორგანიზაციების 63% მცირე ზომისაა, ხოლო საშუალოდ ამ სხვილი ორგანიზაციების წილი თითქმის თანაბარია და თითოეული მათგანი მთლიანი ბაზრის 18%-19% შეადგენს.

სფერო: საბითუმო ვაჭრობა საკანცელარიო საკუთნოებით, წიგნებით, გაზეთებითა და სხვა პერიოდული გამოცემებით, 2014 წელი

	N-რაოდენობა	%-წილი
მსხვილი ორგანიზაციები	15	18%
საშუალო ზომის ორგანიზაციები	16	19%
მცირე ზომის ორგანიზაციები	52	63%
ჯამი:	83	100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2014 წ

კვლევის ფარგლებში მოხდა 7 სადისტრიბუციო ორგანიზაციის შერჩევა, რომლებიც საქმიანობენ მხატვრული წიგნებით დისტრიბუციის სფეროში. აღნიშნული 7 ორგანიზაციიდან ეისითიმ რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით გამოკითხა 4 სადისტრიბუციო კომპანია.



გამოკითხული სადისტრიბუციო კომპანიების ჩამონათვალი

1. ბუქსტორი

2. ირიათონი

3. საქწიგნი

4. ლამპარი-99

კვლევის ფარგლებში სადისტრიბუციო კომპანიებმა შეაფასეს საქართველოში წიგნების სადისტრიბუციო სფეროში არსებული ტენდენციები და ის პრობლემები, რომლებიც დისტრიბუტორებს მათი საქმიანობისას აფერხებს. დისტრიბუტორების შეფასებით დადებითი ფაქტია ის, რომ საქართველოში ბოლო წლების მანძილზე წიგნის ბაზარი გაფართოვდა – წიგნების რეალიზაცია ხდება არა მხოლოდ სპეციალიზებულ წიგნის მაღაზიებში, ასევე, სხვა ტიპის სავაჭრო ობიექტებში (მაგ: სუპერმარკეტები, სააფთიაქო ქსელები და სხვა).

დისტრიბუტორები სადისტრიბუციო სფეროს შეფასებისას ყურადღებას მეთნოვად არსებულ პრობლემებზე ამხვილებენ. მათი აზრით, ქვეყანაში არსებული კრიზისის გამო წიგნის მაღაზიებს გაეზარდათ ხარჯი და შესაბამისად, გაიზარდა წიგნის ფასები, შემცირებულია წიგნის გაყიდვები და მსყიდველუნარიანობა. ფასების ზრდა შეეხო იმპორტირებულ წიგნებსაც, რაც ვალუტის კურსის დეველვაციას უკავშირდება. ზოგადად გართულებულია რეალიზებული თანხების ამოღება. დისტრიბუტორებისთვის საქმიანობის დროს ასევე პრობლემას წარმოადგენს ტენდერების არსებობა – ტენდერში მონაწილეობისას დისტრიბუტორებს უკვე უნდა ჰქონდეთ შეძენილი წიგნები, თუმცა შესაძლოა საბოლოოდ ვერ გაიმარჯვონ.

დისტრიბუტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოში უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს წიგნის ბაზრობები და ფესტივალები, ვინაიდან მსგავს ღონისძიებებზე წიგნის რეალიზაცია უფრო დიდი ოდენობით ხდება.

სადისტრიბუციო საქმიანობა

სადისტრიბუციო კომპანიები 2013, 2014 და 2015 წლებში წიგნების რეალიზაციას ახორციელებდნენ შემდეგი არხების მეშვეობით: წიგნის მაღაზიები, ბითუმად მოვაჭრეები, ინტერნეტი, გამოფენა-გაყიდვა და ქოლ-ცენტრი. აღნიშნული გაყიდვის არხებიდან ბოლო 3 წლის მანძილზე წიგნების რეალიზაცია ყველაზე მაღალი წილით წიგნის მაღაზიებში ხდებოდა.

კვლევიდან ჩანს, რომ 2013, 2014 და 2015 წლებში კვლევაში მონაწილე დისტრიბუტორებმა მოახდინეს 23200 დასახელების წიგნის რეალიზაცია. იკვეთება წლიდან წლამდე რეალიზაციაში არსებული დასახელებების რაოდენობების კლების ტენდენცია, რაც შესაძლოა გამომცემლობების მხრიდან პირდაპირ მაღაზიებთან ურთიერთობის პრაქტიკით იყოს განპირობებული.

წიგნების გაყიდული რაოდენობა დასახელებების მიხედვით 2013-2015 წლებში

წელი	2013	2014	2015	ჯამში
რეალიზაციაში არსებული დასახელებების რაოდენობა	8 150	7 950	7 100	23 200

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 4 დისტრიბუტორთან

2013, 2014 და 2015 წლებში დისტრიბუტორების მიერ მიღებულ შემოსავლებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ყველაზე შემოსავლიანია მხატვრული ლიტერატურის გამოცემების რეალიზაცია. სხვა კატეგორიებთან შედარებით ასევე მეთნაკლებად შემოსავლიანია საბავშვო ლიტერატურის გამოცემების რეალიზაცია.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ დისტრიბუტორები, გარდა წიგნებისა, ასევე, ახორციელებენ საკანცელარიო პროდუქციისა და ჟურნალ-გაზეთების რეალიზაციას, თუმცა, მათი შემოსავლების ყველაზე მაღალი წილი წიგნების რეალიზაციაზე მოდის.



გამომცემლობებთან ურთიერთობა

ქართული წიგნის ბაზარზე წიგნის დისტრიბუტორები სხვადასხვა გამომცემლობასთან თანამშრომლობენ და ახდენენ მათი გამოცემების დისტრიბუციას. ზოგიერთი მათგანი 30-ზე მეტ გამომცემლობასაც კი ასახელებს.

როგორც ირკვევა, ბოლო სამი წლის მანძილზე დისტრიბუტორები წელიწადში საშუალოდ 20-მდე გამომცემლობასთან თანამშრომლობდნენ.

გამომცემლობების რაოდენობა, რომლებთანაც ურთიერთობენ დისტრიბუტორები			
წელი	2013	2014	2015
გამომცემლობების საშუალო რაოდენობა	18	19	19
გამომცემლობების მინიმალური რაოდენობა	2	5	8
გამომცემლობების მაქსიმალური რაოდენობა	30	30	30

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 4 დისტრიბუტორთან

გამომცემლობებთან ურთიერთობის ფორმები განსხვავებულია, თითქმის თანაბრად ხდება გამომცემლობების მიერ წიგნის როგორც ფიქსირებულ გასაყიდ ფასად, ასევე, არაფიქსირებულ გასაყიდ ფასად მიწოდება დისტრიბუტორებისთვის. ტიპურია შერეული ქცევაც, იქიდან გამომდინარე, რომ ერთი დისტრიბუტორი რამდენიმე გამომცემლობასთან თანამშრომლობს, მათ სხვადასხვა გამომცემლობებთან სხვადასხვა პირობებით მუშაობა უწევთ.

დისტრიბუტორების მიერ გამომცემლობებთან ფინანსური ვალდებულებების ანაზღაურებაც სხვადასხვა ფორმით ხდება. დისტრიბუტორების ნაწილი გამომცემლობასთან ანაზღაურებას წიგნების ჩაბარებისთანავე ახდენს, ნაწილი კი წიგნების სავაჭრო ობიექტში ჩაბარების შემდეგ. არის შემთხვევები, როდესაც გამომცემლობისთვის თანხის ანაზღაურება ყოველთვიურად ხდება. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ერთი დისტრიბუტორი სხვადასხვა გამომცემლობასთან თანამშრომლობს, სხვადასხვა პირობებით უწევს წიგნების ღირებულების ანაზღაურებას.

თავის მხრივ, დისტრიბუტორები წიგნების მაღაზიებიდან თანხებს წიგნების საბოლოო გაყიდვის შემდეგ იღებენ. სწორედ სავაჭრო ობიექტებში წიგნების ჩაბარების ეტაპზე მათი გავრცელებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს დისტრიბუტორების შემოსავლების დიდ ნაწილს.

თავის მხრივ, დისტრიბუტორების ქცევა კონკრეტული წიგნის ჩაბარებასთან დაკავშირებით, ძირითადად ტიპურია – ერთი და იგივე დასახელების წიგნს ერთი და იმავე ფასით აბარებენ სხვადასხვა ობიექტში, ამასთან, იციან კონკრეტული ობიექტი / მაღაზია რა ფასად ახდენს წიგნის რეალიზებას მკითხველზე.

3.5 წიგნის მაღაზიები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მონაცემებით 2014 წლისთვის 50-მდე წიგნის მაღაზია იყო დარეგისტრირებული, მათგან უმრავლესობა მცირე ზომის კომპანიას წარმოადგენს. კერძოდ, მათგან მცირე ზომის მაღაზიათა რაოდენობა 41-ს შეადგენს, ხოლო მსხვილ მაღაზიათა კატეგორიაში მხოლოდ ერთი „ბიბლუსი“ ხვდება.

როგორც წიგნის მაღაზიების წარმომადგენლები აღნიშნავენ წიგნების ბაზარზე ბოლო ორი წლის მანძილზე ძირითადად ნეგატიური ცვლილებებია, რაც წიგნების რეალიზაციის შემცირებაში გამოიხატება. გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ წიგნების რეალიზაციის შემცირება შესაძლოა განპირობებული იყოს ერთი მხრივ, წიგნებზე მაღალი ფასებით (ფასების ზრდით) და მეორე მხრივ, კონკურენციის გამძაფრებით და მხოლოდ ერთი კონკურენტის მიერ მონოპოლიზირებულ მდგომარეობის გამყარების მცდელობით.

მაღაზიების ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაყიდული ეგზემპლარების რაოდენობამ წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად იკლო 2015 წელს. თუ 2014 წელს ეს მაჩვენებელი 180 892 წიგნს შეადგენდა, 2015 წელს თითქმის 15 000 წიგნით არის შემცირებული და 165 543 ეგზემპლარს შეადგენს.



რეალიზებული წიგნების (დასახელებები და ეფემერალარები) საშუალო მარკენაბელი ერთ მაღაზიაზე / წლების მიხედვით 2013-2015 წლებში

წელი	2013	2014	2015
დასახელებების რაოდენობა	3570	3482	3404
გაყიდული ეფემერალარების რაოდენობა	183 488	180 892	165 543

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 9 მაღაზიასთან

გაყიდული წიგნების კატეგორიის განაწილება ბოლო წლების მანძილზე არ იცვლება. 2013-2015 წლებში გაყიდული წიგნების დაახლოებით 33%-35% მხატვრული ტერატურაა, თითქმის ამდენივეა საბავშვო ლიტერატურა, გაყიდული ეფემერალარების რეიტინგში მესამე ადგილს იკავებს სასკოლო სახელმძღვანელოები (საშუალოდ 10%-13%).

ტენდენციის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ბოლო სამი წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ქართულ ენაზე ნათარგმნი უცხოური ლიტერატურა ორჯერ უფრო დიდი რაოდენობით იყიდება, ვიდრე ქართული ლიტერატურა ან უცხოური ლიტერატურა უცხოენაზე.

ქართული წიგნის ბაზარზე წიგნის მაღაზიებისთვის დამახასიათებელია წიგნების გარდა სხვა, ისეთი პროდუქციით ვაჭრობაც, როგორიცაა: საკანცელარიო ნივთები, გაზეთები/ჟურნალები, თუმცა, ბუნებრივია მაღაზიების გაყიდვების დიდი წილი – საშუალოდ 80% – წიგნებზე მოდის, ხოლო სხვა დამატებითი პროდუქციით მიღებული შემოსავლები მთლიანი ბრუნვის საშუალოდ 18-20%-ს შეადგენს.

წიგნის მაღაზიები ძირითადად გამომცემლობებიდან იღებენ / ყიდულობენ წიგნებს შემდგომი რეალიზაციის მიზნით. თუმცა მაღაზიების მიერ შეძენილი და რეალიზებული წიგნების საშუალოდ 20% დისტრიბუტორებზე მოდის. მაღაზიები მხოლოდ იშვიათ და გამონაკლის შემთხვევებში ყიდულობენ წიგნებს ბითუმად მოვაჭრეობიერებაში.

კვლევაში ცხადყო, რომ წიგნის მაღაზიები მეტ-ნაკლებად ჩართულები არიან სხვადასხვა სახის მარკეტინგულ აქტივობებში, მონაწილეობენ გამოფენებში, აქვთ სხვადასხვა დღესასწაულთან დაკავშირებული ფასდაკლებები, ზოგიერთი მათგანი აწყობს შეხვედრებს მწერლებთან, აწყობენ კონკურსებსა და გათამაშებებს. მსგავსი ტიპის მარკეტინგული აქტივობების საინფორმაციო წყაროდ კი ძირითადად ინტერნეტს იყენებენ – საკუთარ ვებგვერდსა და ფეისბუქის გვერდებს.

მაღაზიების წარმომადგენლების ინფორმაციით საქართველოში ძირითადად ორი მსხვილი გამომცემლობაოპერირებს. ბაზრის ლიდერებად მიიჩნევიან პალიტრა L და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, ასევე, რიგ შემთხვევებში დასახელდა დიოგენე და ინტელექტი.

2015 წლის ყველაზე გაყიდვადი წიგნები

კვლევის ფარგლებში დისტრიბუტორებისა და მაღაზიების მონაცემების საფუძველზე გამოვლინდა 2015 წლის ყველაზე გაყიდვადი წიგნები როგორც ჯამურად, ასევე, ჟანრისა და კატეგორიის მიხედვით. დისტრიბუტორები და მაღაზიები ასახელებდნენ მათი მონაცემებით ყველაზე გაყიდვად ავტორებსა და წიგნებს, რომელთა ტოპ სამეულის შეჭერებით გამოვლინდა თითოეულ კატეგორიაში წამყვანი ნაწარმოებები.

ცალკეული კატეგორიისთვის ყველაზე გაყიდვადი წიგნების ნუსხა იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

ყველაზე გაყიდვადი წიგნები / ყველა ტიპის ნაწარმოები, 2015 წელი

- 1 ბაზა ბურჭულაძე – მინერალური ჯაზი – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 2 გაბრიელ გარსია მარკესი – იცხოვრე, რომ მოჰყვე – ინტელექტი
- 3 გიორგი კეკელიძე – გურული დღიურები – სიესტა
- 4 დენიელ კიზი – ყვავილები ელჭერნონისთვის – გამომცემლობა წიგნები ბათუმში
- 5 კახა ბენდუქიძე – სხვა არჩევანი არ გვაქვს – ტაბულა
- 6 ჯონ გრინი – ქალაქის ქალაქი – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 7 კასანდრა კლერი – ძვლების ქალაქი – გამომცემლობა წიგნები ბათუმში
- 8 ჯონ გრინი – ბედის ვარსკვლავის ბრალია – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 9 ჰარპერ ლი – ნუ მოკლავ ჯაფარას – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 10 ჯეიმზ დაშნერი – ლაბირინთში მორბენალი – პალიტრა L

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 4 დისტრიბუტორთან და 9 მაღაზიასთან. დასახელებები არ არის წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით.

ყველაზე გაყიდვადი წიგნები / მხატვრული ლიტერატურა, 2015 წელი

- 1 ბაზა ბურჭულაძე – მინერალური ჯაზი – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 2 გაბრიელ გარსია მარკესი – იცხოვრე, რომ მოჰყვე – ინტელექტი
- 3 გიორგი კეკელიძე – გურული დღიურები – სიესტა
- 4 დენიელ კიზი – ყვავილები ელჭერნონისთვის – გამომცემლობა წიგნები ბათუმში
- 5 ჯეიმზ დაშნერი – ლაბირინთში მორბენალი – პალიტრა L
- 6 ერიკ ემანუელ შმიდტი – ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 7 ჯონ გრინი – ქალაქის ქალაქი – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 8 ჰარპერ ლი – ნუ მოკლავ ჯაფარას – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 9 ჯონ გრინი – ბედის ვარსკვლავის ბრალია – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 10 კასანდრა კლერი – ძვლების ქალაქი – გამომცემლობა წიგნები ბათუმში

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 4 დისტრიბუტორთან და 9 მაღაზიასთან. დასახელებები არ არის წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით.



ყველაზე გაყიდვადი წიგნები / არამხატვრული ლიტერატურა, 2015 წელი

- 1 ერნსტ გომბრიხი – მსოფლიოს მოკლე ისტორია – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 2 თამარ და ისიდორე გვარჯალაძეები – ლექსიკონი – გაზეთი „საქართველოს მაცნე“
- 3 ფრიც რიმანი – შიშის ძირითადი ფორმები – გამომცემლობა „ნიგნიერი“
- 4 კახა ბენდუქიძე – სხვა არჩევანი არ გვაქვს – ტაბულა
- 5 ავტორთა ჯგუფი – არქეოლოგიური საგანძური – საქართველოს ეროვნული მუზეუმი
- 6 რუსუდან გორგაძე (შემდგენელი) – ფოტოალბომი „საქართველო“ – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 4 დისტრიბუტორთან და 9 მაღაზიასთან. დასახელებები არ არის წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით.

ყველაზე გაყიდვადი წიგნები / ქართული ლიტერატურა, 2015 წელი

- 1 ბაზა ბურჭულაძე – მინერალური ჯაზი – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 2 გიორგი კეკელიძე – გურული დღიურები – სიესტა
- 3 ნინო ხარატიშვილი – ჟუჟა – ინტელექტი
- 4 მარიამ წიკლაური – ქართული ანბანი – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 5 დათო ტურაშვილი – ტყეების მეფე – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 6 კახა ბენდუქიძე – სხვა არჩევანი არ გვაქვს – ტაბულა
- 7 დათო ტურაშვილი – ჭინსების თაობა – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 8 გელა ჩარკვიანი – ინტერვიუ მამასთან – არტანუჯი
- 9 ჭაბუა ამირეჯიბი – დათა თუთაშხია – კერძო გამოცემა

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 4 დისტრიბუტორთან და 9 მაღაზიასთან. დასახელებები არ არის წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით.

ყველაზე გაყიდვადი წიგნები / თარგმნილი ლიტერატურა, 2015 წელი

- 1 ჟან-პოლ სარტრი – გულისრევა – ალფეი
- 2 გაბრიელ გარსია მარკესი – იცხოვრე, რომ მოჰყვე – ინტელექტი
- 3 დენიელ კიზი – ყვავილები ელჭერნონისთვის – გამომცემლობა წიგნები ბათუმში
- 4 ჯეიმზ დაშნერი – ლაბირინთში მორბენალი – პალიტრა L
- 5 ერის მარია რემარკი – სამი მეგობარი – არეტე
- 6 ფრედერიკ ბეგბედერი – 99 ფრანკი – პალიტრა L
- 7 ჯონ გრინი – ბედის ვარსკვლავის ბრალია – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 8 ჰარპერ ლი – ნუ მოკლავ ჯაფარას – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 9 კასანდრა კლერი – ძვლების ქალაქი – გამომცემლობა წიგნები ბათუმში

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები 4 დისტრიბუტორთან და 9 მაღაზიასთან. დასახელებები არ არის წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით.



3.6 ელექტრონული წიგნის მაღაზიები

ელექტრონული წიგნის ბაზარზე დღესდღეობით ორი ყველაზე დიდი და შედარებით ხანგრძლივი ისტორიის მქონე ელექტრონული წიგნების მაღაზია ოპერირებს: saba.com.ge და lit.ge. გარდა ამ მაღაზიებისა, ელ. წიგნების ბაზარზე ფუნქციონირებს რამდენიმე ახალი ვებგვერდი, სადაც მკითხველს ასევე შეუძლია შეიძინოს წიგნები ელექტრონულ ფორმატში. ესენია: www.ebooks.ge, www.ibooks.ge, www.readerwill.com.

saba.com.ge – ელექტრონული წიგნების მაღაზია „საბა“ 2012 წლიდან არსებობს და იგი თიბისი ბანკის პროექტს წარმოადგენს. დღესდღეობით ვებგვერდზე განთავსებულია 2900-ზე მეტი დასახელების როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული წიგნი. ელექტრონული წიგნის მაღაზიის ვებგვერდზე წარმოდგენილი ელექტრონული წიგნების მაქსიმალური გასაყიდი ფასია 20 ლარი, ხოლო მინიმალური 0.25 ლარი. მკითხველს ასევე შესაძლებლობა აქვს გადმოიწეროს უფასო ელექტრონული წიგნებიც.

lit.ge – ელექტრონული წიგნების ინტერნეტ-მაღაზია ბაზარზე 2011 წლიდან მოღვაწეობს. ამჟამად მის ვებგვერდზე მკითხველს შეუძლია 2550-ზე მეტი დასახელების წიგნის შეძენა / გადმოწერა. ვებგვერდზე განთავსებული წიგნების მინიმალური ფასი 0.20 ლარია, ხოლო მაქსიმალური ფასი 19.30 ლარს აღწევს. ვებგვერდზე წარმოდგენილია უფასო ელექტრონული წიგნებიც. მაღაზიაში მოცემულია სხვადასხვა ჟანრის და კატეგორიის წიგნები, მათ შორის მხატვრული და არამხატვრული, ქართული, თარგმნილი და უცხოენოვანი ლიტერატურა.


ebook.ge – აღნიშნული ვებგვერდი გამოქვეყნდება პალიტრა L-ისა და ელექტრონული წიგნების მაღაზია www.lit.ge-ს ერთობრივ პროექტს წარმოადგენს. ის 2015 წლიდან ფუნქციონირებს ელექტრონული წიგნების ბაზარზე და მკითხველს გამოქვეყნდება პალიტრა L-ის 495 დასახელების ელექტრონულ წიგნს სთავაზობს. ვებგვერდზე განთავსებული წიგნების მინიმალური ფასია 1 ლარი, ხოლო მაქსიმალური ფასი 9.90 ლარია.

ibooks.ge – ელექტრონული წიგნების ონლაინ მაღაზია, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს არა მხოლოდ წიგნების შეძენას, არამედ მათ გამოქვეყნებას, შესაბამისად გაყიდვასაც. ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი რეგისტრირდება გამოქვეყნებად და აქვეყნებს მისთვის სასურველ წიგნს. ვებგვერდმა 2014 წლიდან დაიწყო მუშაობა და ამჟამად 128 დასახელების წიგნი აქვს განთავსებული. წიგნების მინიმალური ფასი 0.37 ლარი ხოლო მაქსიმალური ფასი 4.44 ლარია. საიტზე წარმოდგენილია მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურა, მათ შორის ქართული, თარგმნილი და უცხოენოვანი წიგნები.

readerwill.com – ვებგვერდი 2013 წლიდან ფუნქციონირებს, თუმცა ამჟამად მხატვრული ლიტერატურის გაყიდვას აღარ ახორციელებს.

2016 წლისთვის ელ. წიგნების ბაზარზე ჯამში 6073 დასახელების წიგნი განთავსდა ელექტრონული წიგნების ვებგვერდებზე¹³. მათი ნაწილის მიღება მკითხველს უფასოდ შეეძლო. 2013-2016 წლების განმავლობაში ელექტრონული წიგნის მაღაზიების ვებგვერდებზე განთავსებული დასახელებების უმრავლესობა, კერძოდ კი 60% ქართულ ლიტერატურას წარმოადგენდა, ხოლო 39% – თარგმნილი ლიტერატურა იყო. ელ. წიგნის მაღაზიები მომხმარებელს უცხოენოვან ლიტერატურას ძალიან მცირე რაოდენობით სთავაზობენ – მისი წილი მხოლოდ 1%-ს შეადგენდა.

2013-2016 წლებში ელ. წიგნების ვებგვერდებზე განთავსებული დასახელებების განაწილება ქართული / თარგმნილის მიხედვით



13. საგულისხმოა, რომ ამ რიცხვში არ მოიაზრება წიგნების უნიკალური დასახელებები. 6073 დასახელება მოიცავს ყველა იმ დასახელებას ჯამში, რომელიც განთავსდა სხვადასხვა ელ. წიგნის მაღაზიების ვებგვერდებზე გასაყიდად ელექტრონულ ფორმატში. შესაბამისად, სხვადასხვა დასახელება შესაძლოა მეორედგოდეს სხვადასხვა ელ. წიგნის მაღაზიებისთვის.

რაც შეეხება ელექტრონული წიგნების კატეგორიებს, კვლევამ აჩვენა, რომ 2013-2016 წლებში ელ.წიგნების მაღაზიები საკმაოდ მაღალი წილით საკუთარ ვებგვერდებზე მხატვრულ ლიტერატურას ათავსებდნენ – ამ წლებში განთავსებული დასახელებებიდან 77% მხატვრულ ლიტერატურაზე მოდის, ხოლო დარჩენილი 22% – არამხატვრულზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წლიდან მოყოლებული ელექტრონული წიგნის ბაზარზე წარმოდგენილი ახალი დასახელებების რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს. 2013 წელს უკვე არსებულ ბაზარს 1040 ახალი დასახელება დაემატა და განთავსდა ელექტრონული წიგნის ვებგვერდებზე, 2014 წლისთვის ეს მაჩვენებელი 1409 დასახელებას უტოლდებოდა, ხოლო 2015 წლისთვის ის 2145 იყო¹⁴. აღნიშნული ერთის მხრივ ბაზარზე ახალი ელექტრონული წიგნების მაღაზიების წარმოქმნით არის განპირობებული, ხოლო მეორეს მხრივ უკვე არსებული ელ. წიგნების მაღაზიების მიერ უფრო მეტი რაოდენობის ახალი დასახელებების დამატებით.

ელ.წიგნების დასახელებების რაოდენობა 2013 – 2015

წელი	2013	2014	2015
დამატებული დასახელებების რაოდენობა	1040	1409	2145

კვლევის ფარგლებში მოხდა 2015 წლის ელექტრონული წიგნის სახლების ბესტსელერების გამოვლენა როგორც ქართულ, ასევე თარგმნილ ლიტერატურას შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია საბას და lit.ge-ის ბესტსელერების შეჯერებული ვარიანტი. რაც შეეხება შედარებით ახალ ელ. წიგნების მაღაზიებს, მათ 2015-2016 წლის ბესტსელერებს შორის მოხვდნენ ისეთი წიგნები, როგორებიცაა ლევ ტოლსტოის „ივან ილიჩის სიკვდილი“, „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“, აგატა კრისტის „მივინწყებული მკვლელობა“, ერის მარია რემარკის „ტრიუმფალური თაღი“, ჩარლზ ბუკოვსკის „მაკულატურა“, დიმიტრი უჩანინიშვილის „In homo“ და ა.შ.

2015 წლის ბესტსელერი ქართულ ელექტრონულ წიგნებს შორის

სამოსელი პირველი – გურამ დოჩანაშვილი

ჭინსების თაობა – დათო ტურაშვილი

კაგდატა ინ ჯორჯია – აკა მორჩილაძე

ყვარყვარე თუთაბერი – პოლიკარპე კაკაბაძე

გურჯი-ხათუნი და თერთმეტი მოთხრობა – დათო ტურაშვილი

გურული დღიურები – გიორგი კეკელიძე

77/50-ზე – თეკლა იორდანიშვილი

100 კითხვა ინტელექტის ასამაღლებლად – გიორგი თოდაშვილი

სხვა ამსტერდამი (თავი II) – დათო ტურაშვილი

დევის ცოლის სიცილი – ლია ლიქოკელი

ჩემი თავის დღე – ლია ლიქოკელი

სხვა არჩევანი არ გვაქვს – კახა ბენდუქიძე

თბილისს ვტოვებ ალიონზე – კახა სულუაშვილი

შენიშვნა: ცხრილში წარმოდგენილია „საბას“ და lit.ge-ის 2015 წლის ქართული ლიტერატურის ბესტსელერები. დასახელებები არ არის წარმოდგენილი რეგიონების მიხედვით.

14. დასახელებების რაოდენობებში არ იგულისხმება უნიკალური დასახელებები. ეს ციფრები მოიცავს ყველა დასახელებას ჯამში, რომელიც სხვადასხვა ელ. წიგნის მაღაზიების ვებგვერდებზე გასაყიდად ელექტრონულ ფორმატში. შესაბამისად, სხვადასხვა დასახელება შესაძლოა მეორედ მოხდეს სხვადასხვა ელ. წიგნის მაღაზიებისთვის.

2015 წლის ბასტახელი თარგმნილ ელექტრონულ წიგნებს შორის

ორმოცდაათი ელფერი მუქი – ე. ლ. ჯეიმზი

გრესი ორმოცდაათი ელფერი – ე. ლ. ჯეიმზი

თავისუფლების ორმოცდაათი ელფერი – ე. ლ. ჯეიმზი

გარდასახვა – ფრანც კაფკა

პროცესი – ფრანც კაფკა

იდიოტი – ფიოდორ დოსტოევსკი

დიდი გეტსბი – ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი

მივინყებულნი მკვლელთა – აგატა კრისტი

ოსტატი და მარგარიტა – მიხაილ ბულგაკოვი

ალი და ნინო – ყურბან საიდი

ანა ფრანკის დღიური – ანა ფრანკი

წითელი და შავი – სტენდალი

დიდი სახლის პატარა დიასახლისი – ჯეკ ლონდონი

შენიშვნა: ცხრილში წარმოდგენილია „საბას“ და lit.ge-ის 2015 წლის თარგმნილი ლიტერატურის ბესტსელერები. დასახელებები არ არის წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით.

3.7 ლიტერატურული კონკურსები 2013-2015 წელი

ლიტერატურული პრემია „საბა“

www.saba.com.ge

ლიტერატურული პრემია „საბა“ დაარსდა 2003 წელს და ტარდება ყოველწლიურად. პრემიის მიზანია წლის საუკეთესო წიგნებისა და ავტორების გამოვლენა. პრემიაზე „საბა“ განიხილება გასულ წელს გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები, უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე, ლიტერატურული კრიტიკისა და დოკუმენტური პროზის ნიმუშები.

ლიტერატურული პრემია „საბა“ გაიცემა ნომინაციებში წლის საუკეთესო რომანი, წლის საუკეთესო პოეტური კრებული, წლის საუკეთესო პროზაული კრებული, წლის საუკეთესო პიესა, წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი, წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა, წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა, უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი, ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი, საუკეთესო ელექტრონული წიგნი, პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად გადაეცემათ ფულადი პრემიები. საპრემიო ფონდი 52 ათას ლარს შეადგენს.

1. **წლის საუკეთესო პოეტური კრებული** – ლია სტურუა „დავინწყების დღე“ (ჩვენი მწერლობა), 2013; ეკა ქევანიშვილი „სახლის გაყიდვა“ (საუნჯე), 2014; პაატა შამუგია, „შიზოგადოება“ (ინტელექტი), 2015
2. **წლის საუკეთესო პროზაული კრებული** – ირაკლი სამსონაძე „შემკრთალი ქუჩა“ (ინტელექტი), 2013; არჩილ ქიქოძე „ჩიტის და კაცის ამბავი“ (სიესტა), 2014; გოგი ჩაგელიშვილი, „მხატვარი“ (ინტელექტი), 2015
3. **წლის საუკეთესო რომანი** – ნაირა გელაშვილი „მე ის ვარ“ (კავკასიური სახლი), 2013; ზვიად კვარაცხელია „ფორმა #100“ (ინტელექტი), 2014; აბო იაშადაშვილი, „როიალ-მერი“ (დიოგენე) 2015
4. **წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი** – მარინა ელბაძიძე „გაცვლა“ (დიოგენე), 2013; ლია



ლიქოკელი „დევის ცოლის სიცილი“ (საუნჯე); Toresa Mossy „სიბრძნე სიცრუისა“ (პალიტრა L), 2014; გიორგი წიკლაური, პიტერ აკროიდის „ლონდონი“ (აზრი), 2015

5. **წლის საუკეთესო პიესა** – ალექს ჩიღვინაძე „ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“ (სიესტა), 2013; დავით გაბუნია „პიესები“ (დიოგენე), 2014;
6. **წლის საუკეთესო თარგმანი** – ზაზა ჭილაძე, იულიამ ფოლკნერის „დროშები მტვერში“, (დიოგენე), 2013; გიორგი გოკიელი, ლუის კეროლის „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), 2014; ლელა დუმბაძე, ვირჯინია ვულფის „გზა შუქურისკენ“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), 2015
7. **წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა** – „ელგუჯა თავბერიძე – კოლიმგრაფი“ (საგამომცემლო ცენტრი), 2013; თამაზ კვაჭანტირაძე „განსჯანი“ (ილიელი), 2014; მალხაზ ხარბეღია, „ტექსტი და სიმართლე“ (აზრი), 2015
8. **წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა** – გიორგი მაისურაძე „დაკარგული კონტექსტები“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), 2013; გოგი გვახარია „ცრემლიანი სათვალე“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), 2014; ირაკლი მახარაძე, „დიადი მუნჯი – ქართული მუნჯი კინოს ისტორია“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), 2015
9. **ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი** – ნათია მიქელაძეს, თამთა მელაშვილის „გათვლის“ გერმანულ ენაზე თარგმანისათვის, 2013; დონალდ რეიფილდი, ოთარ ჭილაძის რომანის „აველუმი“ ინგლისურ ენაზე თარგმანისათვის, 2014; კრისტიანე ლიხტენფელდი, ოთარ ჭილაძის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ გერმანულ ენაზე თარგმანისათვის; 2015
10. **პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის** – ზურაბ კიკნაძე, 2013; დავით წერედიანი, 2014; ბესიკ ხარანაული, 2015.

ილიაუნის ლიტერატურული კონკურსი

www.iliauni.edu.ge

ილიაუნის ლიტერატურულ კონკურსი 2010 წელს დაარსდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ და ყოველწლიურად ტარდება. პრემია გაიცემა საუკეთესო რომანისთვის და მისი მიზანია ხელი შეუწყოს რომანის განვითარებას საქართველოში. პრემია 2014 წლამდე ხუთ ნომინანტზე გაიცა. 2010 წელს პრიზი აიღო აკა მორჩილაძემ რომანისათვის „მამლუქი“, ხოლო 2011 წელს – ზაზა ბურჭულაძემ რომანისათვის „გასაბერი ანგელოზი“. 2012 წელს პრემია არ გაცემულა, ხოლო 2013 წელს პრემია აიღეს ანა კორძაია-სამადაშვილმა რომანისათვის „ვინ მოკლა ჩაიკა“ და ჯაბა ზარქუამ რომანისათვის „მკითხველი უნდა მოკვდეს“.

2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ პრემია გაიცეს უცხოენოვანი რომანის საუკეთესო თარგმანისათვის. გამარჯვებული შეირჩა 2010-2014 წლებში გამოცემული თარგმანებიდან და დაჯილდოვდა ზაზა ჭილაძე იულიამ ფოლკნერის რომანის „დროშები მტვერში“ თარგმანისთვის.

კონკურსის გამარჯვებული საქართველოში ყველაზე დიდი ლიტერატურული პრემიით – 10 000 ლარით ჯილდოვდება.

წინანდლის პრემია

www.zurabzhvania.ge

„წინანდლის პრემია“ 1998 წელს დაარსდა და რამდენიმეწლიანი წყვეტის შემდეგ 2014 წელს განახლდა. ის განკუთვნილია ახალგაზრდა (18-30 წლის) მეცნიერთა და შემოქმედთათვის და მისი მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა პოპულარიზაცია, წახალისება და ხელშეწყობა. „წინანდლის პრემიის“ ლაურეატების გამოვლენა ხდება 8 განსაზღვრული ნომინაციის მიხედვით: თეატრალური ხელოვნება, კინოხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა (პროზა), მხატვრული ლიტერატურა (პოეზია), მუსიკა, ფოტოგრაფია, სახვითი ხელოვნება, საბუნებისმეტყველო მეცნიერება. პროექტი ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით.

დარგების მიხედვით შერჩეულ 3 ნომინანტს გადაეცემა სპეციალური სიგელი, ხოლო გამარჯვებული კანდიდატი ჯილდოვდება დიპლომით, პრიზითა და ფულადი პრემიით 5 000 ლარის ოდენობით.



ლიტერატურული კონკურსი „წერო“

ლიტერატურული კონკურსი „წერო“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. კონკურსის ორგანიზატორი ელექტრონული წიგნების მაღაზია Lit.ge და ფარმაცევტული კომპანია GPC-ია.

კონკურსი 2006 წლის შემოდგომაზე დაიწყო. მისი მიზანია თანამედროვე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია და ქართულ მწერლობაში ახალი ავტორების წარმოჩენა.

კონკურსი ტარდება Lit.ge-ზე ორ ეტაპად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს. პირველ ეტაპზე, საკონკურსო ნაწარმოებებს არჩევს სპეციალურად მოწვეული ჟიური, ხოლო მეორე ეტაპზე, ჟიურის მიერ შერჩეული ნაწარმოებებიდან მკითხველთა შეფასებების საფუძველზე ვლინდება გამარჯვებულები.

2015 წლისთვის პირველ ადგილზე გასული ნაწარმოების ავტორისთვის დაწესებული ჯილდო 4 000 ლარს, მეორეზე გასული ავტორისთვის 2 000 ლარს, ხოლო მესამე ადგილზე გასული ავტორისთვის 1000 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესო საკონკურსო ნაწარმოებები კრებულის სახით გამოიცემა.

2015 წელს პირველი ადგილის და ვერცხლის წეროს მფლობელი ლია ლიქოკელი გახდა მოთხრობისთვის „ხეების გამტყავებელი სანადიროდ მიდის“. რაც შეეხება მეორე და მესამე ადგილებს, ისინი ნათია როსტიაშვილმა და ანი გიგაშვილმა დაიკავეს, ნაწარმოებებით: „სუნთქვის შემგროვებელი“ და „დედაჩემი ლოცულობს“.

2014 წლის გამარჯვებულები:

1. პრემია „წერო“ ლია ლიქოკელს მოთხრობისთვის „წყლის პირას, მურყნის ჭალაში“ გადაეცა.
2. ჯაბა ზარქუას გადაეცა მოთხრობისთვის – „დახურული ქარხნების სინდრომი“
3. მიშა ბახსოლიანს გადაეცა მოთხრობისთვის „სასაუბრე ბუდაპეშტი“.

2013 წლის გამარჯვებულები:

1. პირველი ადგილის და ვერცხლის წეროს მფლობელია ნათია როსტიაშვილი, მოთხრობისათვის „ჭალის ანგელოზი“.
2. ტარიელ ნამორაძეს მოთხრობისათვის „კალია“
3. რუსუდან რუხაძეს – „ადა და ევა“.

ლიტერატურული კონკურსი „ემიგრანტის წერილი“

ლიტერატურული კონკურსის „ემიგრანტის წერილები“ პირველად 2016 წელს იმართება. მისი მიზანია, ხელი შეწყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველენოვანი ავტორების გამოვლენას, მათ წარმოჩენასა და პოპულარიზაციას.

კონკურსის ძირითადი ამოცანაა უცხოეთში მცხოვრები ავტორთა ნაწარმოებების მოძიება-შეკრება და მათი ქართულ, ლიტერატურულ სივრცეში დამკვიდრება, ქართულ ენაზე შექმნილი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებების გაცნობა ქართველი მკითხველისათვის, მათი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების სახით გამოცემა და გავრცელება.

კონკურსი იმართება სამ ნომინაციაში: პოეზია, პროზა და ესე. ასევე, გამოვლინდება საუკეთესო ნორჩი ავტორი (ერთი ნომინაცია), საუკეთესო არაქართველი ავტორი (ერთი ნომინაცია), მკითხველთა რჩეული (თითო-თითო წამახალისებელი პრიზი სამივე ნომინაციაში), ფინალისტები (წამახალისებელი სიგელები ნომინაციაში საუკეთესო ათეულში მოხვედრილ ავტორთათვის).

ჟიური ავლენს 5-10 ფინალისტს თითო ნომინაციაში. სამი საუკეთესო ნაწარმოები (თითო ნომინაციაში თითო) ჯილდოვდება ფულადი პრემიით, ორ-ორი ნაწარმოები თითო ნომინაციაში კი ფასიანი საჩუქრებით ცალ-ცალკე. საუკეთესო ნაწარმოებები შედის კონკურსის ფარგლებში გამოცემულ კრებულში, რომელიც დაიბეჭდება არა ნაკლებ 500 ტირაჟისა. კონკურსის დასრულებისთანავე დაისტამბება სპეციალური კრებული, რომელშიც შევა ორივე ნომინაციის საუკეთესო ათეულში მოხვედრილი ნაწარმოებები.



ლიტერატურული კონკურსი „მერანი“

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მერანი“ 2009 წლიდან თბილისის საკრებულოს, მერიისა და თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის მხარდაჭერით ყოველწლიურად იმართება. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 16-დან 35 წლამდე ახალგაზრდა პოეტებს.

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო ლექსების ავტორისთვის დაწესებულია პირველი პრემია „მერანი“. პრიზის მფლობელი 1000 ლარს მიიღებს, ასევე, დაწესებულია ოთხი წამახალისებელი პრემია 500-500 ლარის ოდენობით. ჟიურის მიერ მოწონებული ნაწარმოებები კრებულში „მერანი“ დაიბეჭდება.

2016 წელს ნომინაციაში „საუკეთესო პოეზია“ გამარჯვებული გახდა თემურ ელიაშვილი, ხოლო ნომინაციაში „საუკეთესო პროზა“ მთავარი პრიზი მწერალმა ირაკლი შამათავამ აიღო. ნომინაციაში „საუკეთესო პოეტური თარგმანი“ გამარჯვებულად ნიკოლოზ შამუგია დასახელდა, ხოლო ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული თარგმანი“ პრემია თათია მთვარელიძემ აიღო.

საბავშვო ლიტერატურული კონკურსი „ბუკნაჭო“

საბავშვო ლიტერატურული კონკურსი „ბუკნაჭო“ პირველად 2015 წელს ჩატარდა. კონკურსის მიზანია საშუალება მისცემს ავტორებს შექმნან ახალი ლექსები და კიდევ უფრო გაამდიდრონ საბავშვო ლიტერატურა. ლიტერატურულ კონკურსში „ბუკნაჭო“ მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ ავტორს, ქვეყნის მასშტაბით. ავტორთა ასაკი, ნაწარმოების თემატიკა და მოცულობა შეზღუდული არ არის.

კონკურსის ფარგლებში სამი საუკეთესო ნაწარმოები დაჯილდოვდება ფულადი პრემიით და ფასიანი საჩუქრებით. საუკეთესო ლექსები შევა კონკურსის ფარგლებში გამოცემულ კრებულში, რომელიც დაიბეჭდება არანაკლებ 200 ტირაჟისა და საჩუქრად გადაეცემა როგორც ავტორებს, ასევე ბიბლიოთეკებს, კულტურულ ცენტრებს, სახელოვნებო ორგანიზაციებს. ნაწარმოებებს შეაფასებს კომპეტენტური ჟიური.

გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსი მინიატურის ჟანრში „ერთგულება“

2014 წელს, საერთაშორისო ინკორპორაცია – ქართულ-ამერიკული კულტურის ცენტრმა „ამირანი“, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პატრონაჟით და „სარეა“-ს პარტნიორობით დააფუძნა გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „ერთგულება“. კონკურსის მიზანია – გამოავლინოს წლის საუკეთესო მინიატურა/ჩანახატი და კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, საინტერესო და, ამავე დროს, რთული ჟანრი.

პრემია გაიცემა ყოველწლიურად. პრემია „ერთგულება“ გადაეცემა სამი საუკეთესო მინიატურის/ჩანახატის ავტორს. პრემია წარმოადგენს სპეციალურ პრიზს 1 საუკეთესო მინიატურისათვის/ჩანახატისათვის და სამ ფულად ჯილდოს. 2015 წლიდან კონკურსს ატარებს ფონდი „კულტურათა დიალოგი“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პატრონაჟით.

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულთან“ არსებული „ერთი მოთხრობის კონკურსი“ ემსახურება ქართულ ლიტერატურულ სივრცეში საუკეთესო ნაწარმოებებისა და ავტორების გამოვლენას, ნიჭიერ ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედების წარმოჩენას და მათი ნაწარმოებების პოპულარიზაციას. კონკურსის ამოცანაა, ქართული ლიტერატურით მკითხველთა ფართო ფენების, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება, რევაზ ინანიშვილის შემოქმედების პოპულარიზაცია.

კონკურსის ფარგლებში გაიცემა სამი ფულადი პრემია: პირველი პრემია – 500 ლარის, მეორე პრემია – 300 ლარის და მესამე პრემია – 200 ლარის ოდენობით. გარდა სამი პრემიისა, ოთხი მონაწილე დაჯილდოვდება სპეციალური პრიზით და დიპლომით.

2015 წლის გამარჯვებულები გახდნენ ლაშა ბიბიჩაძე – „ჯარისკაცის დედა“ (პირველი ადგილი), ანზორ სიფრაშვილი – „ფესვი ვაზისა“ (მეორე ადგილი), თინათინ სიყმაშვილი – „შიში“ (მესამე ადგილი). პრიზები



გადაეცათ: ზურაბ ჭოხარიძეს – „პრიმუსი“, თემურ ცერცვაძეს – „საქორწილო მუსიკით გამასვენეთ“, ნინო ჭინჭარაულს – „შიშის მატარებელი“, ლევან ლორიას – „მე და დუდუ“.

3.8 მკითხველი

წიგნის მკითხველთა წილი

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს ოთხი ქალაქი – თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და თელავი. ჯამურ მონაცემებზე დაყრდნობით, აღმოჩნდა, რომ ქალაქების მოსახლეობის თითქმის ნახევარს (49,2%) ბოლო ერთი წლის მანძილზე წაუკითხავს რაიმე სახის ლიტერატურა, მხატვრული (33,6%) ან არამხატვრული (25,6%). იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის სამიზნე სეგმენტს წარმოადგენდნენ მხატვრული ლიტერატურის მკითხველები, ანგარიშის მოცემული ქვეთავი სწორედ აღნიშნულ სეგმენტზე იქნება განზოგადებული.

საინტერესო ტენდენციები გამოვლინდა ქალაქების ჭრილში. კერძოდ, წიგნის ყველაზე მეტი მკითხველი დედაქალაქში აღმოჩნდა (51,4%), ხოლო ყველაზე ნაკლებად წიგნს ქუთაისლები კითხულობენ (37,8%).

წიგნის კითხვის პრაქტიკა / რეგიონალური ჭრილი

	თბილისი	ქუთაისი	ბათუმი	თელავი	ჯამური სურათი
საერთოდ არ წაუკითხავს არც ერთი	48,6%	62,2%	51,5%	58,1%	50,8%
არამხატვრული ლიტ.	26,9%	13,6%	31,0%	24,1%	25,6%
მხატვრული ლიტ.	35,2%	29,0%	29,0%	22,8%	33,6%

წყარო: მკითხველის გამოკითხვა

კვლევამ ცხადყო, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალბატონების გაცილებით დიდი ნაწილი კითხულობს წიგნს (ქალები – 58%, მამაკაცები – 38%), ამასთან მამაკაცების თანაბარი ნაწილი კითხულობს მხატვრულ (22%) და არამხატვრულ (22%) ლიტერატურას, მაშინ როცა, ქალბატონები ძირითადად მხატვრულ ლიტერატურას ეცნობიან (მხ. ლიტ – 42,4%, არამხატვრული – 28,3%).

წიგნის კითხვის პრაქტიკა / სქესის ჭრილი

	ქალი	კაცი
საერთოდ არ წაუკითხავს არც ერთი	42,0%	62,0%
არამხატვრული ლიტერატურა	28,3%	22,2%
მხატვრული ლიტერატურა	42,4%	22,3%

წყარო: მკითხველის გამოკითხვა

ბუნებრივია, წიგნის კითხვის პრაქტიკის თვალსაზრისით კვლევამ ასაკობრივი სხვაობები გამოავლინა. რამე სახის ლიტერატურის გაცნობის პრაქტიკა მაღალია შედარებით ახალგაზრდა რესპონდენტებში. ასაკის მატებასთან ერთად წიგნის კითხვის პრაქტიკა კლებულობს. ამასთან, 16-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში არამხატვრული ლიტერატურის კითხვის პრაქტიკა გაცილებით მაღალია (39%).



წიგნის კითხვის პრაქტიკა / ასაკის ჯგუფი

	16-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
საერთოდ არ წაუკითხავს არც ერთი	35,9%	46,4%	49,5%	56,3%	64,4%	61,2%
არამხატვრული ლიტ.	39,0%	28,0%	25,1%	23,2%	18,8%	12,7%
მხატვრული ლიტ.	37,1%	37,2%	33,6%	29,6%	26,6%	34,9%

წყარო: მკითხველის გამოკითხვა

წიგნის შეძენა

როგორც ურბანული მოსახლეობის კვლევამ ცხადყო, წიგნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ობიექტებს შორის მხატვრული ლიტერატურის მკითხველი ყველაზე დიდი წილით წიგნის მალაზიებს სტუმრობენ – უმრავლესობა (67%) ამა თუ იმ სიხშირით მაინც სტუმრობს წიგნის მალაზიებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ხოლო დარჩენილი ერთი მესამედი (33%) ბოლო ერთი წლის მანძილზე საერთოდ არ ყოფილა წიგნის მალაზიაში.

ბევრად ნაკლებია წიგნის ბაზრობებზე (19%) და ფესტივალებზე (12%) დამსწრეთა წილი. რაც შეეხება ბიბლიოთეკებს, მათ გამოკვლეული ქალაქების მკითხველთა 16% სტუმრობს. ბუნებრივია, ეს მაჩვენებელი ახალგაზრდა ასაკში გაცილებით მაღალია და ასაკის მატებასთან ერთად იკლებს – მაგალითად, 16-24 წლის შუალედში მკითხველთა 39% ბიბლიოთეკას სტუმრობს, იგივე მაჩვენებელი 45-65 წლის რესპონდენტებში 12%-ს შეადგენს, ხოლო 65+ ასაკობრივ შუალედში 2%-ს უტოლდება.

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები განსხვავებულია ქალაქების ჯგუფშიც. წიგნის მალაზიების, ფესტივალებისა და ბაზრობების სტუმრობის თვალსაზრისით მეტი აქტიურობა შეინიშნება დედაქალაქში, ხოლო რეგიონალური ქალაქები (ბათუმი და თელავი) ბიბლიოთეკების სტუმრობით გამოირჩევა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

სხვადასხვა თემების / ადგილების ვიზიტის მაჩვენებელი


	თბილისი	ქუთაისი	ბათუმი	თელავი	ჯამური სურათი
წიგნის მალაზია	66,6%	64,1%	73,3%	65,0%	66,9%
წიგნის ბაზრობა	21,3%	10,2%	7,5%	6,3%	18,7%
წიგნის ფესტივალი	14,2%	1,9%	7,1%	1,2%	12,2%
ბიბლიოთეკა	14,9%	10,7%	29,1%	25,9%	15,8%

წყარო: მკითხველის გამოკითხვა

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკითხული ქალაქების მკითხველთა 15,8% ბოლო ერთი წლის მანძილზე ნამყოფია / ან დადის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის სტუმრობის მიზეზად ყველაზე ხშირად წიგნის გამოტანა (61%) და / ან წიგნის ადგილზე წაკითხვა (46%) სახელდება. მცირე ნაწილი ბიბლიოთეკას სიახლეების გაცნობის (14%) ან მეგობრებთან შეხვედრის მიზნითაც სტუმრობს (10%).




ბიბლიოთეკაში ზიზიტი მონობრიბა N=132



შენიშვნა: გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლების ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვებია იყო ერთზე მეტი პასუხი.

მხატვრული ლიტერატურის მკითხველის მხოლოდ 64% შეუძენია რამე ტიპის ლიტერატურა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რაც ნიშნავს, რომ მკითხველის დარჩენილი 36% ლიტერატურას კითხულობს, თუმცა საკუთარ ბიბლიოთეკას არ აახლებს. წიგნის შეძენის პრაქტიკა ქალაქებს შორის მეტ-ნაკლებად თანაბარია. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, ბუნებრივია, რომ ახალგაზრდები უფრო მეტად ყიდულობენ წიგნებს, ვიდრე შედარებით უფროსი ასაკის მოსახლეობა – ასაკის ზრდასთან ერთად იკლებს წიგნის შეძენის პრაქტიკა.

წიგნის შეძენის ბოლო ერთი წლის მაჩვენებელი N=700



წყარო: მკითხველის გამოკითხვა

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ წიგნების მყიდველების უმრავლესობა ასევე წიგნების აქტიურ მკითხველს წარმოადგენს – წიგნის მყიდველების 66% წიგნებს იმავე ან უფრო მეტი რაოდენობით კითხულობს, რასაც ყიდულობს. წიგნების მყიდველების მესამედი კი (34%) უფრო მეტას შეძენის ქცევას ახორციელებს, ვიდრე კითხვის – 34%-ია ისეთი, ვინც უფრო მეტ წიგნს ყიდულობს, ვიდრე კითხულობს.




მყიდველების და მკითხველის განაწილება N=430



დიდი ქალაქების მცხოვრებლები ყველაზე დიდი წილით საბავშვო / საცმანვილო კატეგორიის ლიტერატურას ყიდულობენ (24%), ასევე მაღალი ინტერესით გამოირჩევა სათავგადასავლო (22%) და ისტორიული კატეგორია (20%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველი ძირითადად პროზას იძენს, ნაკლებად ხდება ისეთი წიგნების შეძენა, რომლებიც პოეზიის ჟანრს განეკუთვნება.

შეძენილი წიგნების ჟანრი (N=458 მათგან, ვისაც შეუძენია)



შენიშვნა: გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლების ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვებია იყო ერთზე მეტი პასუხი.



შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის და თარგმნილი ლიტერატურის შედენის პრაქტიკა მკითხველში მსგავსია – წიგნის მკითხველის თითქმის ნახევარს (48%) ბოლო წლის მანძილზე შეუძენია ამა თუ იმ კატეგორიის ქართული ლიტერატურა, ასევე, ნახევარს (48%) შეუძენია თარგმნილი ლიტერატურა. საინტერესოა, რომ ერთი წლის მანძილზე 6 წიგნზე მეტი თითქმის არავის შეუძენია.

უცხოურ ენაზე წიგნების შედენის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია – წიგნის მკითხველის მხოლოდ 12,8%-ს შეუძენია სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურა უცხოურ ენაზე.


წიგნების შედენის მაჩვენებელი N=700			
	ქართული ლიტერატურა	ქართულად თარგმნილი ლიტერატურა	უცხოენოვანი ლიტერატურა
არ უყიდა	52,0%	52,0%	87,2%
1-6 წიგნი	47,2%	46,4%	12,6%
7 წიგნი და მეტი	0,8%	1,7%	0,2%

წყარო: მკითხველის გამოკითხვა

ბოლო ერთი წლის მანძილზე შეძენილი მხატვრული ლიტერატურის ჟანრიდან პოპულარობით რომანი (64%) და მოთხრობა (49%) გამოირჩევა. ასევე, საკმაოდ პოპულარული ჟანრია ზღაპრები / თქმულებები (36%).

ჰაგიოგრაფია (2%), ეპოსი (1%) და ბალადა (1%) კი ყველაზე ნაკლებად შეძენადი ჟანრია.

მხატვრული ლიტერატურის ჟანრი N=413



შენიშვნა: გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლების ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვებია იყო ერთზე მეტი პასუხი.

კვლევაში ასევე შესწავლილ იქნა წიგნის შედენის ძირითადი ადგილები. წიგნის შედენის ყველაზე ტიპიურ ადგილად წიგნის მალაზია გამოვლინდა (86%). უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის შედენის ადგილის თვალსაზრისით სხვაობები გამოვლინდა ქალაქებს შორის. მაგალითად, თუ თელავში წიგნს თითქმის აბსოლუტური უმრავ-



ლესობა (97%) წიგნის მალაზიაში იძენს, სხვა რეგიონალურ ქალაქებში წიგნის შეძენა მეტ-ნაკლებად მაინც ხდება წიგნის ბაზრობებსა და ფესტივალებზე (შესაბამისად, ბათუმი 7% და 9%, ქუთაისი – 9% და 3%). ამასთან, წიგნის შეძენის ადგილად წიგნის ბაზრობა და ფესტივალი თბილისში გაცილებით ხშირად დასახელდა, ვიდრე რეგიონალურ ქალაქებში (ბაზრობა – 21%, ფესტივალი – 12%). ზოგადად, წიგნის შეძენის არხების მრავალფეროვნებით ყველაზე ნაკლებად თელავი გამოირჩევა.


წიგნის შეძენის ადგილი (N=458 მათგან, ვისაც შეუძენია)					
	თბილისი	ქუთაისი	ბათუმი	თელავი	ჯამური სურათი
წიგნის მალაზია	86%	89%	85%	97%	86%
წიგნის ბაზრობა	21%	9%	7%	3%	18%
წიგნის ფესტივალი	12%	3%	9%	0%	11%
ბუკინისტები	12%	0%	3%	0%	10%
ინტერნეტ-გამოწერა	9%	6%	10%	1%	9%
კარდაკარ პრინციპი	7%	9%	2%	0%	7%
სხვა ტიპის სავაჭრო ობიექტი	6%	7%	10%	5%	7%
წიგნის გამომცემლობა	0%	2%	1%	0%	1%
N=	265	63	66	64	458

წყარო: მკითხველის გამოკითხვა

კითხვითი ჩვევები

კვლევის ფარგლებში წიგნის მკითხველში გამოვლინდა მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვის სიხშირე. როგორც კვლევამ აჩვენა, მკითხველის თითქმის ნახევარი საკმაოდ აქტიურად კითხულობს მხატვრული ლიტერატურას (48% კითხულობს კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად). მკითხველის 19% აღნიშნული ტიპის წიგნებს თვეში 1-2-ჯერ კითხულობს, ხოლო 30%-ს კი მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს 3 თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად კითხულობს.

მხატვრული ლიტერატურის საკითხვის სიხშირე (2015 წელს) N=700



წყარო: მკითხველის გამოკითხვა

მხატვრული ლიტერატურის კითხვის სიხშირე განსხვავდება ასაკების მიხედვით. როგორც ირკვევა, ასაკის მატებასთან ერთად წიგნების კითხვის სიხშირე მატულობს. წიგნების კითხვის ყველაზე მაღალი სიხშირე უფროსი ასაკის მკითხველს ახასიათებს (65 წლის და მეტი ასაკის მკითხველების 75% წიგნებს კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად კითხულობს).




წიგნის კითხვის პრაქტიკა / ასაკის ჯგუფი

	16-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად	40%	46%	42%	45%	46%	75%
თვეში 1-2-ჯერ	30%	21%	15%	10%	26%	12%
3 თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	30%	30%	38%	41%	26%	10%
არ ვიცი / მიჭირს პასუხი	1%	3%	5%	3%	2%	3%
N=	180	157	129	94	71	69

წყარო: მკითხველის გამოკითხვა

მხატვრული ლიტერატურის მკითხველში გამოვლინდა წიგნების შერჩევის კრიტერიუმები. როგორც აღმოჩნდა, მკითხველის ნახევარზე მეტი წიგნის შერჩევისას ახლობლებისა და მეგობრების რეკომენდაციით ხელმძღვანელობს (53%). მკითხველის დიდი ნაწილი წიგნებს ავტორის მიხედვით არჩევს (44%). კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მკითხველის 25%-28% იმ წიგნს არჩევს წასაკითხად, რომლის შესახებაც (წიგნის ან ავტორის შესახებ) სმენია დადებითი შეფასებები. მკითხველის 18% იმ წიგნებს არჩევს წასაკითხად, რომლებიც მიაჩნია, რომ აუცილებლად წასაკითხია.

წიგნის შერჩევის კრიტერიუმები N=700




წყარო: მკითხველის გამოკითხვა



კვლევის შედეგად საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა ახალი და ძველი გამოცემების წაკითხვის კუთხით. როგორც ირკვევა, მკითხველის ყველაზე დიდი ნაწილი თანაბარ უპირატესობას ანიჭებს როგორც ახალი, ასევე ძველი გამოცემების კითხვას (60%). თუმცა განსხვავებული ტენდენცია გამოვლინდა დარჩენილ 40%-ში – ისინი უპირატესობას კლასიკის კითხვას ანიჭებენ – მკითხველის მეხუთედზე ოდნავ მეტი მხოლოდ კლასიკურ ნაწარმოებებს კითხულობს (22%), ხოლო ახალ გამოცემებს / თანამედროვე ავტორებს მხოლოდ 7% კითხულობს. ათიდან ერთი მკითხველი აცხადებს, რომ წიგნის შერჩევა და მოკიდებულია წიგნის დასახელებაზე და ავტორზე (11%).

ახალი გამოცემები VS. კლასიკა N=700



ახალი და ძველი წიგნების წაკითხვის ქცევა განსხვავდება მკითხველის ასაკობრივ ჯგუფში. როგორც ირკვევა, მხოლოდ კლასიკური ნაწარმოებების კითხვის ქცევა მეტწილად უფროსი (55 წლის და მეტი) ასაკის მკითხველს ახასიათებს, ხოლო თანამედროვე ავტორებს კი უფრო ახალგაზრდები კითხულობენ (16-24 წლის და 25-34 წლის).

ახალი და ძველი გამოცემების წიგნების წაკითხვის ქცევა ასაკის ჯგუფში

	16-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
მე ვკითხულობ მხოლოდ კლასიკას (ძველი გამოცემები, ავტორები)	11%	14%	22%	21%	26%	51%
მე ძირითადად ვკითხულობ ახალ გამოცემებს (თანამედროვე ავტორები)	9%	11%	7%	6%	0%	2%
ვკითხულობ როგორც ძველ, ასევე ახალ გამოცემებს	69%	61%	65%	59%	59%	37%
რა წიგნს წავიკითხავ დამოკიდებულია ავტორზე და დასახელებაზე	11%	14%	7%	13%	15%	7%
არ ვიცი / მიჭირს პასუხი	0%	1%	0%	1%	0%	3%


წყარო: მკითხველის გამოკითხვა



წიგნის ჟანრისა და კატეგორიის უპირატესობები

კვლევის მონაცემებიდან ირკვევა, რომ მხატვრული ლიტერატურის მკითხველის დიდ ნაწილს ყველაზე მეტად მოსწონს სათავგადასავლო (59%), სასიყვარულო (54%), დეტექტიური (48%) და ისტორიული (47%) კატეგორიის ლიტერატურის კითხვა.

ყველაზე მოწონებადი წიგნის კატეგორია N=700



შენიშვნა: გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლების ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვებია იყოს ერთზე მეტი პასუხი.

სხვადასხვა ჟანრის მიმართ უპირატესობები განსხვავდება ასაკობრივ ჯგუფებში. როგორც კვლევამ აჩვენა, გარდა ზემოთაღნიშნული 4 კატეგორიისა, 16-24 წლის მკითხველებს ასევე მოსწონთ ფანტასტიკური კატეგორიის ლიტერატურის კითხვა (16%). 25-34 წლის მკითხველებს ასევე იზიდავთ მისტიკური (12%) და ბიოგრაფიული (12%) კატეგორიის ნაწარმოებები. 35-44 წლის მკითხველებში ზემოთაღნიშნული კატეგორიის გარდა, ასევე მოწონებადი აღმოჩნდა ბიოგრაფიული (11%) და სამოგზაურო კატეგორიის ლიტერატურის წაკითხვა. ხოლო 45 წლის და უფროსი ასაკის მკითხველისთვის კი მიმზიდველია ბიოგრაფიული ტიპის ნაწარმოებები.




ყველაზე მოწონებადი წიგნის კატეგორია ასაკის ჯგუფში

	16-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +
სათავედასავლო	70%	57%	56%	48%	62%	57%
სასიყვარულო	57%	56%	59%	54%	52%	42%
დეტექტიური	50%	46%	41%	52%	53%	50%
ისტორიული	35%	31%	46%	51%	71%	71%
ბიოგრაფია / მემუარები	10%	12%	11%	20%	20%	25%
სარაინდო / სასიყვარულო (პოეზია)	10%	9%	9%	17%	10%	21%
სამოგზაურო	12%	9%	12%	13%	15%	12%
ესეები, წერილები	11%	11%	8%	12%	12%	13%
ფანტასტიკა / ფენტეზი	16%	11%	5%	3%	6%	6%
პროფესიული და დარგობრივი ლიტერატურა	6%	11%	7%	13%	9%	5%
სამეცნიერო, აკადემიური ლიტერატურა	6%	7%	7%	13%	10%	6%
საბავშვო / საცმანწილო	5%	8%	8%	6%	5%	12%
მისტიკა / საშინელება / თრილერი	9%	12%	8%	2%	4%	0%
ფოლკლორული	2%	3%	8%	5%	7%	6%
რელიგიური თემატიკის ლიტერატურა	2%	7%	4%	4%	5%	5%
სამეცნიერო ნაშრომი / კვლევა / მონოგრაფია	1%	6%	4%	5%	6%	6%
სატირული (იუმორისტული, კომედიური)	4%	3%	7%	3%	5%	2%
საბავშვო / საცმანწილო (პოეზია)	1%	2%	4%	4%	4%	3%
ენციკლოპედიები / ლექსიკონები	5%	1%	1%	4%	9%	0%
სასკოლო წიგნები / სასწავლო ლიტერატურა	6%	0%	0%	2%	4%	0%
სატირა / პაროდია (პოეზია)	1%	1%	1%	3%	0%	2%
სურათებიანი / გრაფიკული	1%	1%	1%	3%	0%	0%
საბავშვო არამხატვრული ლიტერატურა	0%	0%	0%	2%	4%	0%
მისტიკა (პოეზია)	1%	0%	0%	1%	0%	0%
სხვა	0%	1%	1%	1%	1%	3%
ბაზა: კონკრეტული ასაკობრივი კატეგორიის მკითხველი	N=180	N=157	N=129	N=94	N=71	N=69

წყარო: მკითხველის გამოკითხვა

კვლევის ფარგლებში წიგნების კატეგორიასთან ერთად ასევე გამოვლინდა ყველაზე მოწონებადი ჟანრი. როგორც აღმოჩნდა, მკითხველისთვის ყველაზე მეტად მოსაწონია რომანის ჟანრის ნაწარმოებების კითხვა (89%). მკითხველის 58%-ს მოსწონს მოთხრობების კითხვა, ხოლო მესამე ყველაზე მოწონებადი ჟანრი ნოველებია (32%).





შენიშვნა: გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლების ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვებია იყოს ერთზე მეტი პასუხი.


ნიგნების კითხვა ჟანრისა და კატეგორიის მიხედვით

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ურბანულ მოსახლეობაში, მხატვრული ლიტერატურის მკითხველის აბსოლუტურ უმრავლესობას ბოლო წლის მანძილზე წაუკითხავს პროზაული ტიპის ნაწარმოებები (99%). აღნიშნულ სეგმენტში ასევე მაღალია პოეზიის კატეგორიის ლიტერატურის კითხვის გამოცდილება (83%).

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების მკითხველის მესამედს ბოლო წლის მანძილზე არამხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებებიც წაუკითხავს (32%). აღსანიშნავია, რომ არამხატვრული ჟანრის ლიტერატურის მკითხველი მეტწილად წარმოდგენილია აჭარაში (42%) და თბილისში (33%). ხოლო კახეთსა და იმერეთში აღნიშნული ჟანრის ლიტერატურის კითხვა ნაკლებად გავრცელებულია (კახეთი – 24%; იმერეთი – 19%).

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ნიგნების ის კატეგორია და ჟანრი, რომლებსაც ყველაზე მეტად კითხულობენ გამოკითხულ ქალაქებში. ბუნებრივია, რომ კვლევის მიხედვით სწორედ იმ ჟანრის და კატეგორიის ნიგნებია ყველაზე მეტად წაკითხვადი, რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონს მკითხველს. როგორც ირკვევა, ნიგნის მკითხველში, მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია სასიყვარულო (54%), სათავგადასავლო (50%), ისტორიული (42%), დეტექტიური (37%) და ბიოგრაფიული (18%) კატეგორიის ნაწარმოებების წაკითხვა.

არამხატვრული ლიტერატურიდან კი ბოლო 1 წლის მანძილზე მეტწილად კითხულობენ სამეცნიერო აკადემიურ ლიტერატურას (12%), პროფესიულ-დარგობრივ ლიტერატურას (10%) და რელიგიური კატეგორიის ლიტერატურას (9%). როგორც კვლევიდან ირკვევა, მკითხველები ყველაზე ნაკლებად კითხულობენ სატირულ (2%), მისტიკურ (1%) და სურათებიან/გრაფიკულ კატეგორიის ლიტერატურას (1%).



შენიშვნა: გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლების ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვებია იყო ერთზე მეტი პასუხი.

წიგნის მკითხველის დიდ ნაწილს ბოლო წლის მანძილზე წაუკითხავს ამა თუ იმ კატეგორიის ქართული ლიტერატურა (75%), ამავე რაოდენობას წაუკითხავს თარგმნილი ლიტერატურაც, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ მკითხველებს თანაბრად მოსწონთ როგორც ქართული, ისე თარგმნილი წიგნები. როგორც ქართული, ასევე თარგმნილი ლიტერატურის შემთხვევაში გამოკითხულთა უმრავლესობას 1-6 წიგნამდე აქვს წაკითხული, უფრო მეტ წიგნს გამოკითხულთა ძალიან მცირე ნაწილი კითხულობს (3%).

წიგნების მკითხველების მხოლოდ 18%-ს წაუკითხავს სხვადასხვა კატეგორიის ლიტერატურა უცხოურ ენაზე.


ქართული / თარგმნილი ლიტერატურის კითხვის მაჩვენებელი

	ქართული ლიტერატურა	ქართულად თარგმნილი ლიტერატურა	უცხოენოვანი ლიტერატურა
არ წაუკითხავს	25%	25%	82%
1-6 წიგნი	72%	72%	18%
7 წიგნი და მეტი	3%	3%	0%

წყარო: მკითხველის გამოკითხვა

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა წიგნის ის ჟანრი, რომლებსაც კითხულობდნენ გამოკითხულ ქალაქებში ბოლო 1 წლის მანძილზე. როგორც კვლევამ აჩვენა, მხატვრული ლიტერატურის მკითხველში მეტწილად გავრცელებულია რომანის (88%), მოთხრობის (52%), ნოველისა (23%) და ლექსის (14%) ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების კითხვა. ხოლო სხვადასხვა ჟანრიდან ყველაზე ნაკლებად გავრცელებულია შემდეგი ჟანრის ნაწარმოებების კითხვა: ჰაგიოგრაფიული 2%, ბალადები 1%, ეპოსი 2% და ჰიმნოგრაფიული 0.4%.

წიგნების კითხვის გამოცდილება ჟანრის მიხედვით N=700



შენიშვნა: გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლების ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვებია იყო ერთზე მეტი პასუხი.


წიგნის წყარო

კვლევის ფარგლებში მხატვრული ლიტერატურის მკითხველში გამოვლინდა ის ზოგადი და ძირითადი წყაროები, რომელთა საშუალებითაც იღებენ / კითხულობენ სხვადასხვა ტიპის წიგნებს. მკითხველის უმრავლესობა წიგნებს პირადი ან ოჯახის ბიბლიოთეკიდან კითხულობს (74%). აღნიშნული წიგნის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს მკითხველის ნახევარზე მეტისთვის (53%). წიგნების მიღების მეორე ყველაზე გავრცელებული



წყარო წიგნების შეძენა (42%). აღნიშნულ წყაროს ძირითად წყაროდ მიიჩნევენ მკითხველის ერთი მეხუთედი (19%). წიგნების მიღების მესამე ყველაზე გავრცელებული წყარო სასურველი წიგნის მეგობრებისგან / კოლეგებისგან თხოვებაა (34%). აღნიშნული წყარო ძირითადია მკითხველის 19%-ისთვის. მკითხველის 10% წიგნებს ელექტრონულად კითხულობს (11%). ინტერნეტი, როგორც წიგნების წაკითხვის ძირითადი წყარო მკითხველის მხოლოდ 4%-ში სახელდება. საჯარო ბიბლიოთეკა მკითხველის მხოლოდ 7%-ისთვის არის წიგნის წაკითხვის ზოგადი წყარო. ამ წყაროს სასურველი წიგნის წაკითხვის ძირითად წყაროდ მიიჩნევენ მკითხველის მხოლოდ 2%.

წიგნის წყარო N=700



წყარო: მკითხველის გამოკითხვა

კვლევის შედეგად, გამოვლინდა ტოპ ხუთი წიგნი და ტოპ ხუთი ავტორი, რომელებიც წაუკითხავთ მხატვრული ლიტერატურის მკითხველს ბოლო 1 წლის მანძილზე.

ტოპ 5 წიგნის დასახელება N=700



წყარო: მკითხველის გამოკითხვა





წყარო: მკითხველის გამოკითხვა

3.9 ბიბლიოთეკები

2015 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ მიმდინარეობს. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სოფლის ბიბლიოთეკების თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანა, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და თანამედროვე სერვისების დანერგვა, ბიბლიოთეკებისათვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, ინტერნეტით უზრუნველყოფა, თანამშრომლებისთვის კომპიუტერისა და ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის მოძიების სწავლება (მათ შორის თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიების Skype, Facebook და ა.შ.), საერთაშორისო და ქართულ ელექტრონულ ბაზებზე წვდომა და ა.შ. პროექტის ფარგლებში 45 ბიბლიოთეკა უკვე აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, ხოლო ბიბლიოთეკართა ნაწილმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ამჟამად პროექტის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკისათვის“ მეორე ეტაპი ხორციელდება – „თანამედროვე ინტერნეტსერვისები საქართველოს სოფლების მოსახლეობისათვის“. საბიბლიოთეკო ასოციაცია ფონდის დაფინანსებით საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში 70 სოფლის ბიბლიოთეკის ინტერნეტიზაციის განხორციელებას გეგმავს. პროექტის მთავარი კოორდინატორია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, ხოლო პროექტს მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. პროექტი ხორციელდება პრეზიდენტის ფინანსური მხარდაჭერით.

ასევე უნდა აღინიშნოს 2014 წელს პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტი „წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, რომლის ფარგლებშიც სოფლის ყველა ბიბლიოთეკაზე გამოიყო 500 ლარიანი ვაუჩერი. აღნიშნული თანხით სოფლის ბიბლიოთეკებს საშუალება ეძლეოდათ შეეძინათ მათთვის სასურველი წიგნები და შეეცათ წიგნადი ფონდები. სოფლის ბიბლიოთეკების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის აღნიშნული პროექტი წიგნადი ფონდების შევსების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა.

საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა საქართველოში, 2015 წელი

საჯარო ბიბლიოთეკები სოფლებში	621 ბიბლიოთეკა
საჯარო (მთავარი) ბიბლიოთეკები რეგიონებსა და ქალაქებში	67 ბიბლიოთეკა
მათგან საჯარო ბიბლიოთეკები თბილისში	37 ბიბლიოთეკა
საჯარო (მთავარი, საქალაქო, თბილისის, სასოფლო, საბავშვო)	ჯამში 725 ბიბლიოთეკა

წყარო: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ბიბლიოთეკების რაოდენობა საქართველოში ტიპების მიხედვით, 2015 წელი

საჯარო ბიბლიოთეკები	725 ბიბლიოთეკა
საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები	2 085 ბიბლიოთეკა
სახელმწიფო უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები	50 ბიბლიოთეკა
სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების ბიბლიოთეკები	101 ბიბლიოთეკა
სხვა ტიპის ბიბლიოთეკები ¹⁵	625 ბიბლიოთეკა
	ჯამში 3 586 ბიბლიოთეკა

წყარო: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

მკითხველების რაოდენობა 2014-2015¹⁶

წელი	2014	2015
მკითხველის ჯამური მაჩვენებელი ¹⁷	76 081	94 361
მკითხველის საშუალო მაჩვენებელი თბილისის ბიბლიოთეკებისთვის	1266	1439
მკითხველის საშუალო მაჩვენებელი რეგიონალური ბიბლიოთეკებისთვის (რეგიონის, მუნიციპალიტეტის, სოფლის)	214	267

წყარო: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საჯარო ბიბლიოთეკები წიგნადი ფონდების შესავსებად ან საკუთარი სახსრებით ყიდულობენ ან საჩუქრად იღებენ წიგნებს. ბიბლიოთეკებს წიგნებს ავტორები, მკითხველები, სხვა კერძო პირები, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობები ჩუქნიან. გარდა ამისა, წიგნადი ფონდების შევსების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს 2014 წლის განმავლობაში პრემიადენტის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიღებული ვაუჩერები იყო.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ 2014 წლის განმავლობაში სოფლის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შევსების უმთავრეს, და ზოგ შემთხვევებში, ერთადერთ გზას სწორედ აღნიშნული პროექტი წარმოადგენდა¹⁸. 2014 წელს, განსხვავებით 2013 და 2015 წლებისგან ხდებოდა სოფლის ბიბლიოთეკების მიერ წიგნების ყველაზე დიდი რაოდენობით მიღება. 2014-2015 წლებში სოფლის ბიბლიოთეკები წიგნადი ფონდების შევსებას, ასევე, საკუთარი სახსრებით წიგნების საკმაოდ მცირე რაოდენობით შეძენის გზით ახერხებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის ბიბლიოთეკები წიგნად ფონდებს ძირითად შემთხვევებში წელიწადში ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ ანახლებენ.

თბილისში არსებული საჯარო ბიბლიოთეკების¹⁹ მიერ 2013, 2014 და 2015 წელს რეგულარულად ხდებოდა წიგნადი ფონდების შევსება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით 2015 წელს მიღებული ახალი წიგნების რაოდენობა შემცირებულია (2015 წელს მიღებულია 12056, ხოლო 2014 წელს 23450 წიგნი). თბილისის საჯარო ბიბლიოთეკები ძირითადად წიგნების შეძენის გზით ავსებენ წიგნად ფონდებს. ასევე ბიბლიოთეკებისთვის წიგნების ჩუქება მკითხველებისგან და ავტორებისგან ხდება, ბიბლიოთეკებისთვის წიგნები უჩუქებია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ბიბლიოთეკების მიერ წიგნადი ფონდების შევსება წელიწადში საშუალოდ 10-20-ჯერ ხდება.

15. ამ კატეგორიაში შედიან კერძო სკოლების, ინსტიტუტების, კოლეჯების, კერძო დაწესებულებების, არასამთავრობო და სხვა ტიპი ორგანიზაციების, სპეციალიზირებული, სხვადასხვა ასოციაციების და სხვა ბიბლიოთეკები.

16. მონაცემი დათვლილია 206 საჯარო ბიბლიოთეკისთვის

17. ვინაიდან მონაცემების მორგოვნა მოხდა 206 საჯარო ბიბლიოთეკისთვის, ხოლო საქართველოში დაახლოებით 725 საჯარო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, მკითხველების ჯამური მაჩვენებელი ყველა ბიბლიოთეკისთვის სავარაუდოდ აღემატება ცხრილში წარმოდგენილ ციფრებს

18. ქვეთავში წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებისგან კვლევის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციას

19. თბილისის 3 მთავარი ბიბლიოთეკა, მთავარი ბიბლიოთეკის ფილიალები, 2 მედიათეკა



3.10 ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი შეიქმნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ. ცენტრი ემსახურება ქართული წიგნისა და ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, კერძოდ, ქართული ლიტერატურის და უცხოური ლიტერატურის თარგმნის პროცესის განვითარებას, ლიტერატურის მეშვეობით კულტურათშორისო დიალოგის გაღრმავებას და საერთაშორისო ლიტერატურულ და საგამომცემლო სივრცეში საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ინტელექტუალური რესურსის წარმოჩენას.

ქართული ლიტერატურა თარგმანებში

ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის კუთხით შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურით დაინტერესებული უცხოელი გამომცემლებისთვის მთარგმნელობითი და საგამომცემლო სუბსიდიების გაცემას.

2011-2014 წლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრდაჭერით 45-მდე საერთაშორისო პროექტი განხორციელდა. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დაფუძნების შემდგომ, 2014-2015 წლებში, თარგმანების ხელშეწყობის მიმართულებით, 55-მდე პროექტი განხორციელდა. სახელმწიფოს მხრიდან მთარგმნელობითი პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება ქართული ლიტერატურით დაინტერესებული საერთაშორისო საგამომცემლო სექტორის მზარდი მოთხოვნების პარალელურად.

თარგმანების სტატისტიკა

2015 წელს 47 დასახელების ქართული ლიტერატურა ითარგმნა და გამოიცა უცხო ენაზე, რაც 2011-2015 წლებში ყველაზე დიდი მაჩვენებელია. 2011 წლიდან მოყოლებული უცხო ენაზე თარგმნილი და გამოცემული ქართული ლიტერატურის მაჩვენებელი საგრძნობლად მატულობს.

ქართული ლიტერატურა უცხო ენაზე 2013-2015					
წელი	2011	2012	2013	2014	2015
გამომცემების რაოდენობა	4	6	15	28	47
ბიუჯეტი	50 000 GEL	90 000 GEL	150 000 GEL	240 000 GEL	400 000 GEL

წყარო: ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი



2011-2015 წლებში, დაფინანსებული პროექტებიდან, ქართული ლიტერატურა ითარგმნა 21 უცხო ენაზე, მათ შორის:

ენა	გამოცემების რაოდენობა	გამოცემების რაოდენობა 2014-2015 წლებში
გერმანული	19	14
ინგლისური	18	9
იტალიური	8	7
სომხური	6	6
შვედური	5	2
მაკედონიური	5	5
რუსული	4	3
აზერბაიჯანული	4	4
უკრაინული	4	4
არაბული	4	4
თურქული	4	4
პოლონური	3	2
ფრანგული	3	1
ალბანური	3	3
ხორვატიული	2	1
ბულგარული	2	2
ნიდერლანდული	1	0
ბერძნული	1	1
ესპანური	1	1
სლოვაკური	1	1
ებრაული	1	1

წყარო: ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი


მთარგმნელობითი პროექტის ფარგლებში ყველაზე დიდი რაოდენობით პროზა ითარგმნება. დაფინანსებული პროექტების განაწილება ჟანრის მიხედვით შემდეგნაირია:

პროზა	პოეზია	არამხატვრული ლიტერატურა	საბავშვო ლიტერატურა
84	10	5	1

წყარო: ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი



ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმანების არსებული და მოსალოდნელი დინამიკა 2018 წლის ჩათვლით:



წყარო: ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი

4. რეკომენდაციები

ქართული წიგნის ბაზრის კვლევის ფარგლებში მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების და რეკომენდაციების გაკეთება:

- ▶ კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი საგამომცემლო ბაზრის შესწავლას და დახასიათებას მოიცავდა. იმისთვის, რომ კვლევის აღნიშნული მიზნისთვის მიგვეღწია, აუცილებელი იყო საქართველოში მოქმედი აქტიური გამომცემლობები ჩართულიყვნენ კვლევაში და თანამშრომლობა გაენიათ საჭირო ინფორმაციის მონოდების თვალსაზრისით. საბოლოო ჯამში, გამომცემლობათა გამოხმაურების დონემ საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ეს ანგარიში და პასუხი გაგვეცა ყველა დასმული კითხვისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი შედეგები რეალობას სრულად ვერ ასახავს ბაზრის რამდენიმე მნიშვნელოვანი გამომცემლობის კვლევაში მონაწილეობაზე უარის და ზოგიერთი გამომცემლობისგან არასრულყოფილი ინფორმაციის მიღებიდან გამომდინარე. აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ წიგნის ბაზარზე მოღვაწე კერძო, კომერციული დაწესებულებები, ამ შემთხვევაში გამომცემლობები, მეტწილად ჩაკეტილი სტრუქტურებია, ისინი ნაკლებად ხასიათდებიან ღიაობით და თანამშრომლობისთვის მზადყოფნით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სეგმენტში დაბალია ზოგადად კვლევების მიმართ ნდობა, ვერ ხედავენ მათივე საქმიანობის სფეროს სრულყოფილი კვლევის საჭიროებას და ნაკლებად გამოხატავენ ინტერესს ამ უკანასკნელის მიმართ. იგივე დასკვნის გაკეთება რელევანტურია წიგნის მალაზიების და დისტრიბუტორების მიმართაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია საგამომცემლო სექტორმა გადახედოს მის პოლიტიკას ინფორმაციის გაცემასთან და ღიაობასთან დაკავშირებით, გამოავლინოს მეტი ნდობა კვლევითი კომპანიების და ზოგადად კვლევების მიმართ და გააცნობიეროს მათი სფეროს შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის გენერირების, ანალიზის, კვლევის აუცილებლობა – კვლევის სრულყოფილი შედეგები გამომცემლობებს ნათლად დაანახებს მათ პოზიციებს კონკურენტებთან მიმართებაში, გამოავლენს მკითხველთა საჭიროებებს და უპირატესობებს, რაც საშუალებას მისცემს გამომცემლობებს შესაბამისად დაგეგმონ მათი სამომავლო საქმიანობა, სწორი გათვლები გააკეთონ და უფრო კონკურენტუნარიანები გახდნენ წიგნის ბაზარზე. მეორე მხრივ კი, საგამომცემლო სექტორის მეტი ჩართულობა, ღიაობა და თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კვლევის ორგანიზატორებს მიაწოდონ სრულყოფილი და რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული შედეგები ყველა დაინტერესებულ მხარეს. მსგავსი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კი პასუხისმგებელი მხარეები და გადაწყვეტილების მიმღები პირები, ასევე სექტორის მნიშვნელოვანი მოთამაშეები ზუსტად განსაზღვრავენ საგამომცემ-

ლო სექტორში არსებულ პრობლემებს, საჭიროებებს, შესაბამისად კი დაგეგმავენ საგამომცემლო სექტორის შემდგომი განვითარების სწორ სტრატეგიას.

- ▶ წიგნის ბაზრის კვლევის ფარგლებში მეთოდოლოგიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს მეორადი ინფორმაციის მოძიება წამოადგენა, რაც ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა დაწესებულებიდან მონაცემთა ბაზების გამოთხოვას გულისხმობდა. ამ კუთხით გარკვეულ სირთულეებთან წააწყდით, კერძოდ კი იყო მონაცემთა მოუწესრიგებელი, არასრულყოფილი ბაზები, ან იყო შემთხვევები, როდესაც „კომპანია“ არ აწარმოებდა მონაცემთა ბაზას, შესაბამისად მის მიერ ინფორმაციის მოწოდება ვერ მოხდა. სამომავლოდ სასურველია, რომ წიგნის ბაზრის ყველა სეგმენტმა რეგულარულად აწარმოოს აღრიცხვიანობა და მოახდინოს ბაზების აქტუალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროში სამომავლოდ დაგეგმილი კვლევების ჩატარების ეფექტიანობას და ოპერატიულობას.
- ▶ საქართველოში გამოცემული წიგნის დასახელებები სხვადასხვა პარამეტრებით აღირიცხება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე. დასახელებების დარეგისტრირება ISBN კოდის მინიჭების საშუალებით, ასევე სავალდებულო ეგზემპლარის გზით ხდება. შესაბამისად, იმის გამო, რომ აღიშნული მონაცემთა ბაზა შესაძლოა ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ მივიჩნიოთ საქართველოში გამოცემული წიგნების შესახებ სტატისტიკური და სხვა ინფორმაციის მისაღებად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომ მისი მოწესრიგება და აღრიცხვიანობა მაქსიმალურად ზუსტად და სრულყოფილად წარიმართოს. ამ კუთხით, ერთი მხრივ რეკომენდირებულია გამომცემლობებმა მათ მიერ გამოცემულ ყველა დასახელებას მიანიჭონ უნიკალური ISBN კოდი და არ გამოიყენონ ერთი კოდი რამდენიმე დასახელებისთვის. ასევე მაქსიმალურად შეასრულონ სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის წესი. მეორეს მხრივ, კი რეკომენდირებულია თავად პარლამენტის ბიბლიოთეკის შესაბამისმა განყოფილებამ მაქსიმალურად იზრუნოს ბაზების აქტუალიზებაზე, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეეძლოს ზუსტი ინფორმაციის მოძიება და ვებგვერდიდან ჩამოტვირთვა.
- ▶ კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უმეტეს შემთხვევებში გამომცემლობები დისტრიბუტორებს წიგნებს ფიქსირებული გასაყიდი ფასით აწვდიან, შესაბამისად ფასის გაზრდა ან შემცირება არც დისტრიბუტორს და არც სავაჭრო ობიექტს არ შეუძლია. თუმცა, რიგი გამომცემლობებისთვის გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ისინი წიგნების დისტრიბუტორებზე გასაყიდ ფასს ადგენენ, ხოლო დისტრიბუტორი / სავაჭრო ობიექტი შემდეგ თავად წყვეტს, რა ფასით ჩააბაროს / გაყიდოს წიგნი. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელი ერთი და იმავე გამომცემლობის ერთი და იგივე წიგნს განსხვავებული ფასით ყიდულობდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში, რამაც მომხმარებლებში შესაძლოა ნეგატიური აღქმები და უნდობლობა გააჩინოს გამომცემლობების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შემთხვევები არ წარმოადგენს ტენდენციას, რაც ნიშნავს, რომ ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშეები ნაკლებად მიმართავენ ამ პრაქტიკას, მყიდველის უფლებების დაცვის მიზნით რეკომენდირებულია გამომცემლობებმა შეცვალონ დისტრიბუტორებთან ურთიერთობების ფორმები, გადახედონ წიგნებზე ფასების დაწესების პოლიტიკას და წიგნებზე დააწესონ ფიქსირებული გასაყიდი ფასები. შესაბამისად, კონკრეტული გამომცემლობის წიგნები ერთი და იმავე ფასით გაიყიდება ყველა ობიექტში, შედეგად მკითხველი / მყიდველი დაცული იქნება მაღაზიების მხრიდან ფასების თვითნებური გაზრდისგან, ხოლო გამომცემლობა დაცული იქნება მის მიმართ უნდობლობის ან ნეგატიური იმიჯის ჩამოყალიბებისგან.
- ▶ მკითხველის გამოკითხვის და მათი უპირატესობების შესწავლის საფუძველზე რამდენიმე საინტერესო დასკვნის გაკეთება შესაძლებელია, რომლებიც საინტერესო იქნებოდა გამომცემლობებისთვის და წიგნის მაღაზიებისთვის:
 - მკითხველი წიგნებს არ არჩევს გამომცემლობების მიხედვით. წიგნის შერჩევის ქცევა სპეციფიურია, აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ახლობლებისგან მიღებულ რჩევებს, წიგნზე მოსმენილ / ნაკითხულ დადებით შეფასებებს ენიჭება. გარდა ამისა, მნიშვნელოვან კრიტერიუმად წარმოგვიდგება წიგნის ავტორი – ხშირ შემთხვევაში მკითხველი წიგნებს სწორედ ავტორის მიხედვით არჩევს.
 - მკითხველი უპირატესობას ანიჭებს რომანის კითხვას, ხოლო კატეგორიის მხრივ გამოარჩევს სათავგადასავლო, სასიყვარულო, დეტექტიური და ისტორიული კატეგორიის წიგნებს.
 - მკითხველისთვის წიგნის მიღების ძირითად წყაროს პირადი / ოჯახის ბიბლიოთეკა წარმოადგენს, ხოლო საკუთარი ბიბლიოთეკის შემდეგ წიგნების შეძენა წარმოადგენს წიგნის მიღების მეორე ყველაზე ხშირად გამოყენებად წყაროს. რეკომენდირებულია, რომ მკითხველში გაიზარდოს წიგნის შეძენის მაჩვენებელი, ხოლო ეს გამომცემლობების მხრიდან ახალი გამოცემების უფრო მეტი პოპულარიზაციის გზით შეიძლება მოხდეს.



ზოგადად რეკომენდირებულია, რომ გამომცემლობები / წიგნის მაღაზიები გაეცნონ კვლევის აღნიშნულ კომპონენტს და საკუთარი მარკეტინგული თუ სხვა ტიპის აქტივობები დაგეგმონ მკითხველთა უპირატესობების, სამომხმარებლო ქცევის და კითხვის ჩვევების გათვალისწინებით.

- ▶ საქართველოში მოქმედი საჯარო ბიბლიოთეკების შესწავლის ფარგლებში დადგინდა, რომ სოფლის ბიბლიოთეკები საქალაქო თუ მუნიციპალურ ბიბლიოთეკებთან შედარებით განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან წიგნადი ფონდების შევსების სიხშირის და მიღებული წიგნების რაოდენობების კუთხით. უმეტეს შემთხვევებში მათ მიერ წიგნადი ფონდების შევსება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში თუ ხდება, ხოლო საკუთარი ბიუჯეტით შეძენილი წიგნების რაოდენობა და სიხშირე მიზერულია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით რეკომენდირებულია, რომ გაიზარდოს დაინტერესება სასოფლო ბიბლიოთეკების მიმართ და შესაბამისმა ორგანიზაციებმა / სტრუქტურებმა იზრუნონ მათი წიგნადი ფონდების გამდიდრებაზე. აღნიშნული ორი მიმართულებით შესაძლებელია რომ წარიმართოს – 1. გადაიხდეს ბიბლიოთეკების ბიუჯეტი. ბიბლიოთეკის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება მოხდეს არსებული ან გაზრდილი ბიუჯეტის უფრო ეფექტიანად განკარგვის კუთხით. 2. დაიგეგმოს და განხორციელდეს უფრო მეტი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი პროექტი, რომელიც ბიბლიოთეკების დახმარებაზე იქნება მიმართული. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოების აქტიურობა და ჩართულობა, რომელიც შემოწირულობების საშუალებით გარკვეულ წვლილს შეიტანს წიგნადი ფონდების გამდიდრების საქმეში.

კვლევის ფარგლებში განეული დახმარებისთვის და მხარდაჭერისათვის „ეისითის“ გუნდი მადლობას უხდის ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციას. „ეისითის“ გუნდი ასევე მადლობას უხდის ყველა იმ გამომცემლობას, სადისტრიბუციო კომპანიას, სავაჭრო ობიექტს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას და ელექტრონული წიგნების მაღაზიას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს და თანამშრომლობა გაგვიწიეს აღნიშნული კვლევის ფარგლებში.

